რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 20 იანვარი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 15 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 15

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა"-ზე

ხელის მოწერის პირობები:

ერთი თვით — 4 მან. 50 კაპ.
ორი თვით — 9 მანეთი.
სამი თვით — 13 მან. 50 კაპ.
ექვსი თვით — 27 მანეთი
ერთი წლით — 50 მანეთი
ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".

ამხანაგებს და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ღრმად დამწუხრებულნი მამა მიხეილ გიორგის ძე, ძმა ილიკო მიხეილის ძე, დები ქრისტინე და ოლღა, ბიძა კონსტანტინე, ბიცოლა ცაცო, ბიძის შვილები: ვალენტი და ნოე ციციაძენი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ამხანაგებს, რომ ჯერას 21 იანვარს ნაშუადღევს ორ საათზე [illegible]

**ალექსანდრე მიხეილის ძე [illegible]**

[illegible]

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ნინო [illegible] ასული, შვილები: [illegible]

**ლუკა პეტრეს ძე [illegible]**

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. (1—1)

ღრმად დამწუხრებული დედა მარიამ სოლომონის ასული, მეუღლე [illegible] ასული, შვილები: [illegible] აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ამა წლის 16 იანვარს საღამოს 4 საათზე [illegible]

**პავლუშა ტუსიშვილი.**

დაკრძალვა მოხდება შაბათს 20 იანვარს [illegible] 10 ს.

დღეს, 20 იანვარს ქ. [illegible] გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი [illegible]

**ეკა ნიკოს ძე ხართიშვილის**

სულის მოსახსენებლად. (1—1)

ქ. ფოთში სასაფლაო ეკლესიაში სამშაბათს 23 იანვარს გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

**გრიგოლი (გრიშა) ნიკიფორის ძე სალუქვაძის**

სულის მოსახსენებლად. (1—1)

## სახლის კომიტეტები

სახლებმა, რომლებმაც უკვე ამოირჩიეს სახლის კომიტეტები დაუყონებლივ უნდა აცნობონ ამის შესახებ საუბნო სასურსათო კომიტეტს, რომელიც მათ ჩარიცხავს და მისცემს სანოვაგის მისაღებ შესაფერ მოწმობას.

სახლის კომიტეტ. არჩევნები ხდება თვით სახლის მდგმურების ინიციატივით.

(2—1) ქ. თფილისის განსაკუთრებული სასურსათო კომისია.

## თფილისის ქალაქის თვითმართველობა

აცხადებს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში განთავისუფლდა ქ. თფილისის მკვიდრთათვის შემდეგი სტიპენდიები: მოსკოვის უნივერსიტეტში ს. ა. ამიროვის სახელობის ერთი სტიპენდია სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტისათვის, განურჩევლად ეროვნებისა; პეტროგრადის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში—პეტრე დიდის სახელობის ერთი სტიპენდია; ლორის მელიქოვის სახელობის ერთი სტიპენდია ერთ-ერთ უნივერსიტეტის იმ სტუდენტისთვის, რომელსაც კარგათ დაუსრულებია კურსი თფილისის რომელიმე გიმნაზიაში; აბამელიკის სახელობის ერთი სტიპენდია რომელიმე უნივერსიტეტის სტუდენტისათვის; პეტროგრადის ქალთა სამედიცინო ინსტიტუტში—ერთი სტიპენდია, იმ პირთათვის, რომელთაც დაუსრულებიათ დიდი მთავრინა ოლღა თედორეს ასულის სახელობის I და II ქალთა გიმნაზია; თფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში თავისუფალია ნ. გ. პიტოევ-იაგულოვის და მ. ა. ჯაბარის სახელობის სტიპენდიები ეკონომიურ განყოფილების სტუდენტთათვის, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

თხოვნებთან ერთად უნდა წარდგენილ იქნეს მეტრიკული ამოწერილობა და სასწავლებლის მოწმობა. თხოვნები მიიღება ქალაქის თვითმართველობასთან არსებულ სახალხო განათლების განყოფილებაში (სერგიევის ქ. № 4) 1 თებერვლამდე.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.

სახ. სახლ. არს. წრის სცენის მოყვარეთა მიერ **ელ. ჩერქეზიშვილის** მონაწილეობით **შაბათს, 20 იანვარს 1918 წ.** თფილისის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს სასარგებლოთ წარმოდგენილი იქნება:

**ქრისტინე**

დრამა 4 მოქ. ირეთელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ბარათაშვილი, ნინონი, მარგველაშვილი, ჯავახიშვილი, ჩერქეზიშვილი. ბ. ბ. ანაშვილი, გოცირიძე, ნინიძე, მინდიაშვილი, მეტრეველი, მამაჯანოვი, იეერელი და სხვანი.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ადგილების ფასი 3 მ. 80 კ.—50 კ.-დე.

გამგე ალ. ბადრიძე.

სადგურ სამტრედიის პირველ კლასის ბუფეთში 12 იანვარს ღამით

**დაეკარგე**

კალათი სხვადასხვა სამოსწავლო წიგნებით და კონსპექტებით. აგრეთვე შიგ იყო ფეხსაცმელი, კალოში, საცვლები და სხვა. ამ ნივთების დაკარგვა მაყენებს გამოუსვლელ მდგომარეობაში, განსაკუთრებით კონსპექტების, რომლებსაც ერთი წელიწადია ვარდგენ. ვთხოვ მპოვნელს გამაგებინოს შემდეგი მისამართით: ст. Самтреди Индикіону Кахадзе.

## სამოქალაქო ომი

სამოქალაქო ომი ფართო ხასიათს ღებულობს. ბნელი ძალები სარგებლობენ ამ წარმოუდგენელ ანარქიის ხანაში საკუთარ საქმეებს აკეთებენ. ცარცვაგლეჯა, მიმოსვლის შეჩერება, წარმოების ურთიერთობაში დეზორგანიზაციის შეტანა კერძო პირების სასარგებლოთ ხდება და საზოგადოებრივი ცხოვრება იშლება.

აქ გამიზნულ და სოციალისტურ მოძრაობას მეცნიერული სოციალიზმის ხასიათი ეკარგება და ანარქო-ბლანკიზმის ნიადაგს პოულობს. ასეთ ანარქიულ მოძრაობას ზედ ერთვის ნაციონალურ-შოვინისტური მიმდინარეობა და მით რევოლიუცია განსაცდელში ვარდება.

სამოქალაქო ომი, მოქალაქეთა ურთიერთა შორის შეტაკება მუდამ და ყოველთვის კონტრ-რევოლიუციონერებიდან იწყება, კონტრ-რევოლიუციონერები და რეაქციონერები არიან ინიციატორები ასეთ ომის დაწყების. როგორც კი უფლება მოკლებული ხალხი პოლიტიკურ თავისუფლებას პოულობს, უმალვე მას გაბატონებული კლასები მტრათ ევლინებიან და იწყებენ საშინელ შინაურ ომის გაჩაღებას. პარიზის კომუნის ბატონობის დროს იერიშები და სამოქალაქო ომი პირველათ რეაქციონერებმა, ვერსალის გმირებმა—ტიერმა და კამპანიამ დაიწყო და ბლანკისტები იძულებული გახდენ ეს ომი მიეღოთ. რუსეთში თითქოს უკუღმა იწყება: სამოქალაქო ომის დამწყებათ მემარცხენეები გამოდიან და სისხლის ღვრა უმთავრესათ დემოკრატიულ ელემენტების შორის ხდება.

განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სოციალისტური პარტიების ერთმა ნაწილმა უტოპიური ლოზუნგების განხორციელება დაიწყო და დღეიდანვე სოციალიზმის დამყარება განიზრახა, სამოქალაქო ომი მთელი რუსეთის რესპუბლიკას მოედო და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება ცეცხლის ალში გაეხვია.

სწორეთ დემოკრატიის ერთმა ნაწილმა — ლუმპენპროლეტარებმა შესაფერი დრო ნახეს და „სოციალისტური" ნიღაბის ქვეშ ბნელი საქმეების გაკეთება დაიწყეს. მათ მოქმედებაში არ არის არაფერი სოციალისტური: მიზნათ დაისახეს პრიმიტიული სოციალიზმის—ნაწარმოების განაწილების საქმე და ვისაც მეტი ძალა და უფლება შესწევს, ის მეტ სიმდიდრეს ეპატრონება.

დღემდის სოციალიზმის დამყარება და ამ ნიადაგზე კლასობრივი ბრძოლის გაჩაღება—საწარმოვო იარაღების გასაზოგადოება მთავარ მოვლენათ მიგვაჩნდა, ახლა კი შებრუნებულათ ხდება. ნაძირალები და ლუმპენპროლეტარები საერთო ნაწარმოებიდან რამდენიც შეუძლიათ, იმდენს ითვისებენ და საწარმოვო ძალთა გასაზოგადოების ნიადაგზე არაფერს არ აკეთებენ. პირიქით თვით მსხვილი წარმოება, რომელიც მომავალ საზოგადოებას საწარმოვო ურთიერთობის ნიადაგს უმზადებდენ, იშლება და მის მაგიერ ზოგიერთა ადგილებში ანარქისტულ-კომუნისტური წარმოება მყარდება და ნაწარმოებს ინაწილებენ. ამ შემთხვევაში სოფლებში ასეთი ტენდენცია უფრო საშინელ ხასიათს ღებულობს, კულტურული მეურნეობა ისპობა და მთელი საწარმოვო იარაღები და ინვენტარი გლეხთა შორის უთავბოლოთ ნაწილდება.

საქმე იმაშია, რომ ასეთ ლუმპენპროლეტარული მოძრაობა რევოლიუციონური ორგანიზაციების სახელით ხდება და ისინიც უფრო გაბედულათ იქცევიან. ჩვენ არა ერთი და ორი ცნობა მოგვდის პროვინციებიდან, დაბა-ქალაქებიდან ჯარისკაცთა ერთი ნაწილი, უმთავრესათ კი დეზერტირები დამოუკიდებელ ორგანიზაციას ადგენენ და ადგილობრივ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს მუშაობას უშლიან. ამას შვრებიან მხოლოდ იმიტომ, რომ კერძო საქმეები გააკეთონ და წანართმევ-ნადავლიდან, რაც შეიძლება მეტი მიისაკუთრონ. ამ ჯურის ლუმპენ-პროლეტარები ჩვეულებრივ იარაღით ხელში გამოდიან და თავიანთ „უფლების" განსამტკიცებლათ სამოქალაქო ომს აწარმოებენ. ჩვეულებრივ რევოლიუციონურ ორგანოებს, თვითმართველობებს, მილიციას, წითელ გვარდიას ომს უცხადებენ და ქუჩაში საბრძოლველათ გამოდიან. მაგრამ მათი ასეთი მოქმედება სოციალიზმიდან დაშორებულია და ლოზუნგათ სხვის საკუთრების დაჩემება გაუხდიათ. ასეთ ნიადაგზე სამოქალაქო ომის გაჩაღება რევოლიუციის დამღუპველია და შეგნებული დემოკრატია და მუშათა კლასი მოვალეა მათი კონტრ-რევოლიუციონური, ლუმპენ-პროლეტარული იერიშები მოიგერიონ. რევოლიუციონური დემოკრატიის შეკავშირება და დარაზმვა თავდებია ლუმპენპროლეტარიატის დამარცხების და რევოლიუციის განმტკიცების.

## ბანკების ნაციონალიზაცია

ბოლშევიკებმა ბანკების ნაციონალიზაცია გამოაცხადეს.

გასულ წლის 14 დეკემბერს პეტროგრადში შესდგა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის „ისტორიული" სხდომა, რომელმაც გადასწყვიტა ბანკების ნაციონალიზაცია.

ბანკების ნაზიონალიზაციას რუსეთში გძელი ისტორია არა აქვს, ის მომდინარეობს ოქტომბრის დღეებიდან, როცა ბოლშევიკებმა ძალა-უფლება ჩაიგდეს ხელში.

რაში მდგომარეობს ბანკების ნაციონალიზაცია? ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ორგანო „კავკაზსკი რაბოჩი"-ს განმარტებით მიწის დეკრეტის შემდეგ ეს მეორე უდიდესი აქტია, რომელიც ბურჟუაზიას ხელიდან აცლის წარმოების მეორე ბურჯს კაპიტალს და მისი გასაზოგადოებრივებით მჭიდრო საფუძველი ეყრება სოციალისტურ წყობილებას.

ერთი სიტყვით, ბოლშევიკები სოციალიზმის დამყარებას შეუდგენ.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ბოლშევიკებმა უარყვეს მარქსიზმის დროშა, რომ ისინი კი არ ხელმძღვანელობენ მოძრაობას, არამედ თითონ ბრმად მისდევენ ხალხის შეუგნებელ სურვილებს.

მოვიგონოთ მათი გამოსვლის ისტორია ოქტომბერში, როცა პეტროგრადში ძალა-უფლება იგდეს ხელთ, ბოლშევიკებმა საქვეყნოთ გამოაცხადეს: ჩვენ იმიტომ ვართ მომხრე მთელი ძალა-უფლების მუშათა საბჭოების ხელში გადასვლის, რომ დამფუძნებელი კრების დროზე მოწვევა გვინდაო. თანაც ომისგან დაღლილ ხალხს ზავი აღუთქვეს.

ჩვენ თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ საბჭოების მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება ნიშნავს სოციალიზმის დაუყონებლივ შემოღებას. ბოლშევიკები უარყოფდენ ამას, აცხადებდენ სოციალიზმისთვის მხოლოდ ნიადაგს ვამზადებთო. მართლაც, პირველ ხანებში კანტროლი შემოიღეს.

ჩვენი მოსაზრება კანტროლის შესახებ სავსებით გამართლდა. დღეს ლენინი თითონ აღიარებს, რომ კანტროლის განხორციელება შეუძლებელი გახდა. ის ამბობს: „კანტროლის გასატარებლათ ჩვენ მოვიწვიეთ ბანკების მოღვაწეები და მათთან ერთათ შევიმუშავეთ ზომები, რომელზედაც ისინი დათანხმდენ, რომ სრულს კანტროლსა და ანგარიშს ქვეშ მიეღოთ სესხი. მაგრამ ბანკების მოსამსახურეთა შორის აღმოჩნდენ ხალხის მოკეთენი, რომლებმაც გაგვაფრთხილეს ბანკირები ჩვენ გვატყუებენ, ეცადეთ ჩქარა მოსპოთ მათი ბოროტ-მოქმედება, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ არის მიმართულიო. და ჩვენც დავაჩქარეთ ეს დეკრეტი".

ეს „თოხარიკი" სოციალისტები ვერ შეაჩერა მათი „მეგობრების" მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერების განცხადებამ: ჩვენ პრინციპიალურათ ვიზიარებთ ბანკების ნაციონალიზაციის პროექტს, მაგრამ მისი ცხოვრებაში გასატარებლათ პრაქტიკულ ზომების შემუშავებაა საჭიროვო. ვერ შეაჩერა ვერც გაერთიანებულ სოციალდემოკრატ-ინტერნაციონალისტების გაფრთხილებამ—ბანკების საქმე ძნელი და დახლართული საქმეა, საჭიროა ჯერ შემუშავდეს შესაფერი ზომები, მოწვეულ იქნას მცოდნე და გამოცდილი პირები და შემდეგ დაისვას საკითხი ნაციონალიზაციის შესახებ, თორემ ასე აჩქარებით, ერთი ცულის დაკვრით თქვენ მოშლით კრედიტის სათუთ სხეულს, კიდევ უფრო დასცემთ მანეთის ფასს და არევ-დარევთ ცხოვრებასო.

არაფერმა არ გასჭრა.

ვერ შევაშინებთო—მედიდურათ განაცხადა ლენინმა.

მაგრამ არის ორი ლენინი. ერთი ის, რომელიც უკიდურეს ლოზუნგებით გატაცებულ ჯარისკაცების და მუშების ფეხის ხმას მისდევს. ეს ლენინი არას დაგიდევთ. მაგრამ არის ლენინი თეორეტიკოსი და ის ეკამათება მოწინააღმდეგეებს.

საინტერესოა ლენინის საბუთები. „თქვენ გამოდიხართ **სწორ მეცნიერულ თეორიიდან**"-ო, მიმართავს ის მოწინააღმდეგეებს, „მაგრამ ჩვენთვის თეორია ჩვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯების დასაბუთება და რწმენის შექმნაა, და არა შიშის მომგვრელი საშუალება. რასაკვირველია, ჩვენ ძნელ საქმეს ვკიდებთ ხელს, მაგრამ იმედი მაქვს ამ სიძნელეს დავძლევთო".

მგონი, რომელიღაც „კატეხიზმში" სარწმუნოება ასეა განმარტებული: „სარწმუნოება არის არა ხილულის დაჯერება, ვითარცა ხილულის". თეორეტიკოსი ლენინი სარწმუნოებაზე შორს ვერ მიდის: თქვენი მეცნიერული საბუთი ნაციონალიზაციის წინააღმდეგ სწორია, მაგრამ ის წინ ეღობება ჩვენს სურვილებს და ამიტომ მისაღები არ არისო.

„რატომ ვერ განხორციელდა კანტროლი"?—კითხულობს ლენინი და თითონვე უპასუხებს: „ბანკირებმა საბოტაჟს მიმართეს, ხელი შეგვიშალესო. ამიტომ ჩვენ მოვიწვევთ სპეციალისტებს, რომელთაც ამ საქმეზე უმუშავიათ, მხოლოდ მას შემდეგ, როცა ბანკების გასაღებები ხელში გვექნება, მაშინ ჩვენ მრჩევლებსაც გავიჩენთ ყოფილ მილიონერებისაგან. ვისაც მუშაობა სურს, მობრძანდეს, მხოლოდ რევოლიუციონური ნაბიჯი მკვდარ წერტილათ კი არ უნდა აქციოს, ასეთ ანკესზე ჩვენ არ წამოვეგებით"-ო. ასეთია ამ „უშიშარ რაინდის" მოქმედების პროგრამა.

რა დაგვიმტკიცა ლენინმა? ის, რომ სოციალიზმი კარგია, რომ ბურჟუაზია ბატონობს იმიტომ, რომ ხელთ უპყრია კაპიტალი, რომ საკმაოა მოვინდომოთ და ყველაფერს შევსძლებთ.

დღემდის ასე იყო, რომ რეფორმების განხორციელება უწინ ხდებოდა უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში. დღეს ლენინი გვეუბნება, რომ ამიერიდან ასეთი მდგომარეობა უნდა შეიცვალოს: სოციალიზმი შეიძლება განხორციელდეს, თუნდაც ხალხის დიდი უმრავლესობა მისი წინააღმდეგი იყვესო, საკმაოა მხოლოდ ძალა-უფლება გქონდეს ხელშიო. მარქსის დებულება რომ „მდგომარეობა ქმნის შეგნებას", რომ საჭიროა ობიექტიური და სუბიექტიური პირობები, ლენინმა ერთის დაკვრით გააუქმა. ის ამბობს:

რა ღირებულება ექნება წიგნს, თუ ის ხელის შემშლელი გახდება ჩვენი მოქმედებისთვისო.

ლენინი გაბედული კაცია, მაგრამ იმდენათ დიპლომატია, რომ არ ამბობს, რომელი წიგნი აქვს მას სახეში: ეს წიგნია მარქსის უკვდავი ნაწარმოები. ჩვენ რომ ლენინის თეორეტიულ უტოპიასთან გვქონდეს საქმე, რასაკვირველია, მას ყურადღებას არ მივაქცევდით; მაგრამ ეს უტოპია სოციალიზმის სახელით და ხიშტების შემწეობით ცხოვრებაში ტარდება.

ამის გამოხმაურება ჩვენ უკვე ვიხილეთ რუსეთის გლეხობაში: თავადების მამულის აკლების შემდეგ სოფლებს გაუნაწილებიათ ინვენტარი—ზოგს გუთნები შეხვედრია, ზოგს კიდევ ცხენები და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბანკების ნაციონალიზაცია დღევანდელ პირობებში მხოლოდ ფულების დანაწილებით შეიძლება დაგვირგვინდეს. ეკონომიურ ცხოვრებას კიდევ მეტი არევ-დარევა მოელის. კონტრ-რევოლიუცია გვიახლოვდება. ჩვენი ვალია მის გარეგნულ მიმზიდველობას ფხიზლათ შევხვდეთ.

## პრესა

თფილისში სარევოლიუციო ტრიბუნალის დაარსების გამო „საქართველო" იგონებს საფრანგეთის დიდ რევოლიუციის ამბებს და სწერს:

„გავიხსენოთ ხსენებულ რევოლიუციის ამბები ტერორის, ანუ შეშინების, სისტემა მჭიდროთ იყო დაკავშირებული სარევოლიუციო ტრიბუნალთან. იმავე დროს ხსენებული ტრიბუნალი ერთმა პარტიამ იაკობინელებისამ თავისი პოლიტიკური მტრების გასანადგურებლათ გამოიყენა. გაჰქრა სამართალი, მოქალაქის სიცოცხლე და ქონება უზრუნველყოფილი აღარ იყო".

ამიტომ „საქართველო" გვირჩევს:

„დიაღ! რაც შეიძლები მეტი სიფრთხილე! რაც შეიძლება მეტი თავისუფლება! რაც შეიძლება მეტი კანონიერება!"-ო.

რაც შეიძლება ნაკლები აჩქარება უნდა ვუთხრათ „საქართველო"-ს. ტრიბუნალი დაარსდა არა პარტიების წინააღმდეგ საბრძოლველათ, არამედ ნაძირალების ასალაგმავათ.

ნაძირალებს ეყოთ თავისუფლება.

* *
*

„ბრძოლა" სწერს მენშევიკებზე: „ისინი მოუთმენლათ ელოდენ იმ მათთვის ბედნიერ დღეს, როდესაც ბურჟუაზია სისხლის მორევში ჩაახრჩობდა პროლეტარიატს და ამით მკვდარ ტაქტიკას კვლავ სიცოცხლის სულს შთაბერავდა. პროლეტარიატის საბედნიეროთ მათი იმედები არ გაამართლა ცხოვრების სინამდვილემ".

ასე უზრდელოთ ამახინჯებს „ბრძოლა" სიმართლეს. როდის იყო, რომ მენშევიკები პროლეტარიატის სისხლში ჩახრჩობას ფიქრობდენ? გვიკვირს „ბრძოლის" რედაქციაში როგორ არ აღმოჩნდა ერთი რიგიანი ადამიანი მაინც, რომ ასეთი ტყუილის დაწერისთვის ხელი შეეშალა.

ამ აშკარა ტყუილს „ბრძოლა"-მ სასაცილო წინასწარმეტყველებაც მიაყოლა: „შორს აღარ არის ის სანეტარო დღე, როდესაც წმინდა იდეა პროლეტარიატის დიქტატურისა სამუდამოთ გამტკიცდება „კავკასიიდან ვიდრე ვოლ-

გამდე და დნეპრის წყლიდან შავი ზღვისკენ“.

ბედნიერი ხალხია ბალშევიკები: რუსეთი სამოქალაქო ომის ალშია გახვეული, ყველაფერი ინგრევა, კულტურა ნადგურდება და ისინი მანილოვის ტკბილ ოცნებას მისცემიან!

და როცა ეს მანილოვები გაიძახიან: „ძირს ობორონცულ - კოალიციონურკონტრ-რევოლიუციონური კომისარიატი—ჩვენ მხოლოდ ღიმილით შეგვიძლია ვუპასუხოთ.

***

მასწავლებლების გაფიცვის შესახებ ვინმე ბაგრატ უჩანეიშვილი ქუთათურ გაზეთ „სოციალისტ რევოლიუციონერში“ სწერს:

„ერთობას“ გონია, რომ თუ მასწავლებლები იფიცებიანო ეს ხალხის წინააღმდეგ იფიცებიანო, მაგრამ მას ნუ გგონია, რომ თუ ჩვენ ვიფიცებით ეს იმის წინააღმდეგ, იმ მთავრობის, რომელმაც არაფერი გააკეთა ჩვენ დუხჭირ ცხოვრების გასაუმჯობესებლათ“-ო.

ბ. უჩანეიშვილს გონია ალბათ, რომ როცა მასწავლებლების გაფიცვით სკოლები დაიკეტება, ამით გლეხები არაფერს წააგებენ, მას გონია აგრეთვე, რომ დღევანდელი მთავრობა დემოკრატიის მთავრობა როდია, ისე არსებობს სადღაც სივრცეში და მის წინააღმდეგ ბრძოლა ხალხის წინააღმდეგ ბრძოლას არ ნიშნავს.

ეს, რასაკვირველია, მისი გუნების საქმეა.

## ამიერ-კავკასიის ამბები

**ნოვო-ბაიაზეთი.** ა. ჩხენკელს დეპეშით ატყობინებენ: მთელ არე-მარეში ანარქია დაიწყო, მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა ყოველ დღე ხდება. ერთი სოფელი მეორეს თავს ესხმის. მთავრობა არ არის. მიმოსვლა სრულიად შეწყვეტილია, ფოსტა აღარ მოდის, მთელ ქვეყანას მოწყვეტილი ვართ 16 იანვარს სომეხთა ნაციონალურმა საბჭომ კრება გამართა და დაადგინა ითხოვოს მოგვაშველოთ ჯარი, რომ ამ უბედურებისაგან თავი დავიხსნათ.

**ბათუმი.** სახელმწიფო ბანკის განყოფილების კასაში ფული აღარ არის. თუ ასე გაგრძელდა ბანკის განყოფილება დაიხურება. მუშები, ჯარისკაცები და გამვლელი ეშელონები ფულს ვერ მიიღებენ. მდგომარეობა მეტათ გამწვავებულია. სთხოვენ ამიერ კავკასიის კომისარიატს მიაწოდონ ფული.

## მდგომარეობა დონის როსტოვში

დონის როსტოვიდან გუშინ, 19 იანვარს შემდეგი დეპეშა მოვიდა: „ყოვლივე სიმართლეს მოკლებულია ის ხმები, თითქოს დონის როსტოვი ბალშევიკებს აეღოთ, კალედინი და ყაზახთა მთავრობის სხვა წევრები დაეტუსაღებიოთ. დონის როსტოვში სრული მშვიდობიანობაა, არავითარი ამბავი არ მომხდარა და კალედინიც თავისუფლათ არის“.

## საზავო მოლაპარაკება

**ბრესტ-ლიტოვსკში** უკანასკნელი საზავო თათბირის დროს გერმანელებს მოუთხოვიათ სეპარატიული ზავის შეკვრა რუსეთის დელეგაციისაგან. გერმანელებს ძლიერი ჯარი ჰყავთ კუნძულ ეზელზე. მათ აზრათ აქვთ უკეთუ შემოტევა დაიწყო რიგის ფრონტზე რუსის ჯარს ზურგში მოექცენ, კუნძულ მოონდზე მათ ძლიერი არტილერია ჰყავთ.

**ოსმალეთთან ზავის ჩამოგდების** შესახებ მოსალაპარაკებლათ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა 1 თებერვალს მოიწვიოს უკრაინის რადის და სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის წარმომადგენლები.

## კავკასიის ფრონტი

**ბათუმიდან** გვატყობინებენ: ამას წინათ გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, თითქოს ტრაპიზონიდან ხმელეთით ბათუმისაკენ მომავალ ჯარს ქალაქი რიზე აეოხრებიოს და დაეწვას. ამის შესახებ 14 იანვარს რიზედან ჩამოსულმა სთქვა, რომ არაფერი ამის მსგავსი რიზეში არა მომხდარაო. ტრანსპორტის უქონლობის გამო ხმელეთით ქვეითად მოდის მხოლოდ ქართული პოლკი, რომელსაც გზაში არავითარი დარბევა არ მოუხდენია და არც ერთი ქალაქი ან სოფელი არ აუოხრებია.

## სამოქალაქო ომი

**დონის როსტოვიდან** 18 იანვარს შემდეგი დეპეშა მოვიდა: პეტროგრადში დიდი შეტაკებებია.

**ნოვოჩერკასკიდან** 15 იანვრის თარილით საერთო ფრონტის ყაზახთა მართველობის წევრმა ვასილიევმა შემდეგი აცნობა კავკასიის ფრონტის ყაზახთა მმართველობას:

მოვედი ნოვოჩერკასკში. მარიინის სტანიცაში 25 იანვარს შესდგება ყაზახთა სამხედრო „წრის“ საგანგებო კრება.

საერთო ფრონტის მმართველობა შეუერთდა ყაზახთა ჯარების კავშირის საბჭოს.

საერთო მდგომარეობა ასეთია: თერგის ოლქში სიწყნარეა, ყუბანისაში,—ბალშევიკებმა ვერ შესძლეს ძალა-უფლების ხელში ჩაგდება.

დონის ოლქს გარშემო ბალშევიკების ჯარი არტყია. შედარებით მდგომარეობა უკეთესდება და იმედიც არის, რომ ძმათა შორის ომი არ მოხდეს.

დონის ყაზახთა პოლკებმა კამენსკაიას სტანიცის რაიონში შეადგინეს სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი, რომელმაც თავი დონის ოლქის უმაღლეს მთავრობათ გამოაცხადა.

ამ რევოლიუციონური კომიტეტის პოზიცია საშუალოა ბალშევიკებსა და ყაზახთა ახლანდელი მთავრობის შორის. არც ერთ მხარეს სავსებით არ ემხრობიან.

ისინი აცხადებენ, რომ მათ შორის არ მოიპოვებიან ბალშევიკები და არც შემოუშვებენ ბალშევიკებს დონის ოლქში. ერთი სიტყვით, ამბობენ: არავის უფლებას არ მივსცემთ, რომ დონის ოლქს ვინმემ თავს მოახვიოს თავისი ზრახვანიო. მიუხედავათ ამისა, ჩვენ ბრძოლას ვაწარმოვებთ ახლანდელ ყაზახთა მთავრობის წინააღმდეგო.

მათ ყაზახთა მთავრობას წარუდგინეს მთელი რიგი მოთხოვნებისა. მთავარი მოთხოვნაა: მოხალისეთა ჯარის დათხოვა და სამხედრო „წრის“ ხელ-ახალი არჩევა.

პეტროგრადში ცხარე ბრძოლაა დამფუძნებელი კრების მოწინააღმდეგე—მომხრეთა შორის.

**დონის როსტოვი.** დონის ოლქში ბრძოლა სწარმოებს ბალშევიკებსა და კალედინის მომხრეთა შორის. დონის გაერთიანებული მთავრობის დელეგაცია გაემგზავრა დონის ოლქის ყველა ფრონტებზე, რათა 4 თებერვლამდე დროებითი ზავი იქნას ჩამოგდებული. ამ დროისთვის მოწვეულია სამხედრო „წრის“ კრება.

თერგის ოლქში ბრძოლაა ყაზახებსა და ადგილობრივ ტომებს შორის.

გიორგიევსკი და ზოგიერთი სხვა ადგილები და აგრეთვე გროზნი ბალშევიკების ხელშია, რომლებიც ნავთს აღარ იძლევიან.

პროხლადნაიაში და არმავირშიაც მთავრობა ბალშევიკურია. გამვლელ-გამომვლელ აფიცრებს სადგურებზე პაგონებს გლეჯენ, ეძებენ იარაღს.

**შინგარევის და კოკოშკინის მოკვლის** შესახებ „რესპ.“ შემდეგს ატყობინებენ: 6 იანვარს ღამით წითელ-რაზმელების სადარაჯოზე გამოსაცვლელათ მისულმა მატროსებმა რევოლვერით მოჰკლეს ციხის კამერაში მყოფნი. როცა მარინეს საავადმყოფოში მივიდენ კრილენკო და ბონჩბრუევიჩი, ხალხმა მათ მიაძახა—„მკვლელებოო“.

**სევასტოპოლში** მეზღვაურებს 148 აფიცერი დაუხვრეტიათ და დახვრეტილთა გვამები ნავით ზღვაში გადაუყრიათ. რამდენიმე დღის შემდეგ ზოგიერთი აფიცრის გვამი ზღვის ტალღების ღელვის დროს ნაპირზე გამოუგდია, მათ შორის, სამხედრო-საზღვაო სასამართლოს თავმჯდომარის გენ. ლეიტ. კეტრიცის გვამი.

**უცხო სახელმწიფოთა** ქვეშევრდომნი პეტროგრადიდან გარბიან. განსაკუთრებით მრავლათ მიდიან—ფრანგები, ინგლისელები და იაპონელები. მათ აშინებს ის გარემოება, რომ მოსალოდნელია რუსეთის მთავრობამ გერმანიასთან სეპარატიული ზავი შეჰკრასო.

## სპარსეთის მდგომარეობა

**გარეშე საქმეთა კომისარმა** ტროცკიმ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სპარსეთის ელჩს: მოქალაქე ელჩო! რადგან სპარსეთის ხალხში ეჭვი იბადება ინგლის-რუსეთის 1907 წლის ხელ-შეკრულების მომავალი ბედის შესახებ, მაქვს პატივი რუსეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით გაუწყოთ შემდეგი: საერთაშორისო პოლიტიკის პრინციპების თანახმად, რომელიც სრულიად რუსეთის საბჭოთა მეორე ყრილობამ დაამტკიცა 1917 წლის 26 ოქტომბერს, ინგლის-რუსეთის 1907 წლის ხელშეკრულება, როგორც სპარსეთის ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული, გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს სამუდამოდ. ამასთანავე გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს ყოველგვარი სხვა ხელშეკრულება ხსენებული ხელ-შეკრულების წინად და შემდეგ დადებული, რომელიც კი სპარსეთის ხალხის თავისუფლებას ზღუდავს. თუ ეხლა სპარსეთის ხალხს აწუხებს იქ მყოფი რუსეთის ჯარი გთხოვთ, მოქალაქე ელჩო, დარწმუნებული იყოთ, რომ ეს ჩვენდა უნებურად ხდება ან ჯარისკაცთა შეუგნებლობის გამო, ან კონტრ-რევოლიუციონერთა ბოროტი ზრახვების წყალობით. საბჭოს მთავრობა ყოველსავე ზომას ხმარობს, რომ განათავისუფლოს სპარსეთი ცარიზმის და იმპერიალისტური ბურჟუაზიის ძველ აგენტებისაგან, რომელნიც არიან, როგორც სპარსეთის ისე რუსის ხალხის მტრები. ყველა დამნაშავე მოქალაქე დასჯილი იქნება რევოლიუციის მკაცრი კანონების ძალით. საბჭოს მთავრობა აგრეთვე ყოველ ღონეს იხმარს, რაც კი შეუძლია მას საერთაშორისო განყოფილებათა დარგში, რომ გასწმინდოს სპარსეთი ოსმალეთის და ინგლისის ჯარის-კაცთაგან. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უკვე დადგა ის დრო, როდესაც ხალხი მოსთხოვს თავის მთავრობას ძალადობის შეწყვეტას სპარსეთის ხალხის მიმართ და ეს უკანასკნელი შესძლებს თავისი ძალების თავისუფალ განვითარებას საკუთარ მიწა-წყალზე. ყოველ შემთხვევაში, საბჭოს მთავრობა მხოლოდ ისეთ ურთიერთობას სცნობს სპარსეთთან, რომელიც თავისუფალ შეთანხმებასა და ურთიერთ პატივისცემაზეა დამყარებული.

---

**ამიერ კავკასიის კომისარიატის** თავმჯდომარე ევ. გეგეჭკორი სასწრაფო დეპეშით შეეკითხა გენ. ბარათოვს—თუ რა მოსაზრებით გაგზავნა მან გილიანის პროვინციის ს. კიაზიმში ყაზახები და რა იყო მიზეზი სპარსეთის მთავრობის მიერ პროტესტის განცხადებისაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ჯარისკაცები სოფლად.

ამ სათაურით ქუთათურ „სოციალ-დემოკრატ“-ში შემდეგი საგულისხმიერო წერილია მოთავსებული:

„ჩვენი კორესპონდენტები სამწუხარო ამბებს გვატყობინებენ სოფლებიდან, მაგრამ ამ სამწუხარო ამბებს შორის ერთი ამბავი, რომელიც ისწრაფვის ფართო ხასიათი მიიღოს, მეტათ ცუდია და სამწუხაროზე უფრო სამწუხაროა.

როგორცს ვიცით, ფრონტი დაცარიელდა; ზოგი კანონიერათ წამოვიდა, ზოგი თავის ნებით. გაივსო სოფლები ჯარისკაცებით. მაგრამ საქმე ამაში არ არის. საქმე იმაშია, რომ ამ ჯარისკაცებს, ესე იგი, ადგილობრივ გლეხებს, რომელთაც დღესაც ჯარისკაცების ფარაჯა აცვიათ, განცალკევებულათ უჭირავთ თავი.

კორესპონდენტების სიტყვებიდან სჩანს, რომ ისინი ზევიდან დაჰყურებენ ადგილობრივ მკვიდრთ, რომელნიც ომში არა ყოფილან და ადგილობრივ კი მაინც ეწეოდენ თავის სარევოლიუციო მუშაობას. იმის მაგივრათ, რომ ჩამოსული ჯ. კ. დამხვედრებთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული, შეერთებული რევოლიუციონურ მუშაობას შესდგომოდენ, იმის მაგივრათ, რომ ჩამოსული ჯარისკაცები ადგილობრივ სარევოლიუციო მუშაობის ფერხულში ჩაბმულიყვენ, იმის მაგივრათ, რომ თავისი ცოდნა და გამოცდილება ადგილობრივ მოეხმარათ, ორგანიზაციების მხარის დაჭერით და მათთან ერთად მუშაობით რევოლიუციონური საქმეები ეკეთებიათ, ამ კარგი ნაბიჯების მაგივრათ, ჩამოსული ჯარისკაცები ზოგიერთ ადგილებში პირდაპირ დამღუპველ ნაბიჯებსა სდგამენ და რევ. წესიერ მსვლელობაში არევდარევა შეაქვთ. არევ-დარევის შეტანა კი იწვევს სოფლად ანარქიას. იწვევს მკვიდრთა შორის დიდ უკმაყოფილებას და საქმე ბოლოს ბრძოლის სფეროში გადადის. ერთი მხრით არის ადგილობრივი ორგანიზაციები და მთელი ხალხი, რასაკვირველია, რევოლიუციონური ხალხი და მეორე მხრით—ჩამოსული ჯარისკაცები, რომელნიც ამ ორგანიზაციების წინააღმდეგ ილაშქრებენ და ისინი, ვინც მათ მხარს უჭერს და უჭერს მხარს მათ ის, ვინც სრული უკმაყოფილოა, ვინც პრინციპიალურათ წინააღმდეგია სარევოლიუციო ორგანიზაციებისა. ასეთები კი არიან შავრაზმელები და ყოველგვარი ბნელი ძალები, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ რევოლიუციის დამარცხებით არიან დაინტერესებულნი. აი ასეთ პირებთან ერთად გამოდიან ჯარის-კაცები! ასეთი პირები უმაგრებენ მათ ზურგს.

რა სურთ ამ ჩამოსულ ჯარის-კაცებს? რა აინტერესებთ მათ? სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა რამე. საერთოდ კი ყველგან ანარქიას ხელს უწყობენ. რაჭაში მათ მოუსურვებიათ ჯარის-კაცთა საბჭოს შედგენა, საჩხერეში მილიციისა და სასურსათო კომიტეტის გადაყენებას მოითხოვენ, სვირში ჯარის-კაცთა საბსაბჭოს შედგენასა და ადგილობრივ ორგანიზაციების დაშლას მოითხოვენ, რომ ძალა-უფლება მათ ხელში გადავიდეს. რა არის ეს? რას ნიშნავს ეს? არის თუ არა ანარქიის დაწყება, არის თუ არა ეს კონტრ-რევოლიუციონერობა და შავრაზმელებთან ერთად მუშაობა? დიახ, ეს ასე არის. და ეს სამწუხაროა. ჯარის კაცი სოფელში აღარაა ჯარის-კაცი. ეს მან კარგათ უნდა იცოდეს. იგი სოფელში იგივე სოფლელია და თავის მეზობელთან ერთად უნდა სწიოს სარევოლიუციო ჰაპანი. განცალკევება: რომ შენ აქაური გლეხი ხარ და მე კი ჯარისკაცი, ბრძოლა ადგილობრივ რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ დამღუპველია და ეს მალე უნდა შეიგნონ მათ.

ჩვენ გვწამს, რომ ჩამოსული ჯარისკაცების ასეთი ცუდი ნაბიჯები გარდამავალია. ჩვენ გვწამს, რომ ისინი გამოირკვევიან და თავს დაანებებენ ასეთ უმსგავს მოთხოვნილებებს. მაგრამ ეს მალე უნდა მუხდეს და პროცესის დასრულებას ხელი უნდა შეუწყონ ადგილობრივმა ჩვენმა ამხანაგებმა. ფართო პროპაგანდა აგიტაცია მათ შორის დღეს სადღეისო საქმეა. მაშ, ამხანაგო ჯარისკაცნო! ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ადგილობრივებთან ერთად სარევოლიუციო საქმისკენ ეშურეთ!

## ახალი ამბები

**პურის ახალი ბარათები.** 20 იანვრიდან ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება შეუდგება პურის ახალი ბარათების დარიგებას. საკითხი, თუ ვის მიეცეს პურის გადიდებული ულუფა სავსებით არ არის გამორკვეული. ამიტომ სასურსათო განყოფილება სთხოვს ყველა ორგანიზაციებს გამოარკვიონ, თუ რომელ კატეგორიის მუშებს მიეცეს ზედმეტი ულუფა.

**ციციანოვის აღმართზე ტრამვაის** მოძრაობა განახლდა.

**წესრიგის დარღვევისათვის დატუსაღება.** მილიციის უფროსმა ორი კვირით დაატუსაღა ბ. ტერ-დავიდიანცი ქუჩაში რევოლვერის გასროლისა და აურ-ზაურის ატეხისათვის.

**სწავლის დაწყება.** თფილისის მეორე საკომერციო სასწავლებელში სწავლა დაიწყება 25 იანვარს.

**მაქო (სპარსეთი) რკინის გზა.** როგორც ამიერ კავკასიის კომისარიატს ატყობინებენ, მაქოს რკინის გზის მდგომარეობა მეტათ უნუგეშო ყოფილა. ყოველ დღე ხდება ქურთების თავდასხმა. მე-10 პოლკის ეშელონზე თავდასხმის დროს მოკლეს ქურთების უფროსი. გზის დასაცავათ საჭიროა ერთ-ერთ ეროვნულ სამხედრო ნაწილის გამოგზავნაო.

**პროტესტის გამოცხადება.** როგორც იტყობინებიან, სპარსეთიდან მომავალი რუსის ჯარი იტაცებს თურმე სურსათს. ამის საწინააღმდეგო პროტესტით მიმართა ამიერ-კავკასიის კომისარიატს სპარსეთის უფროსმა კონსულმა.

**ტყვეების დაცვა.** ამიერ კავკასიის კომისარიატი ამჟამათ იმუშავებს და მალე გამოაქვეყნებს წესებს ამიერ კავკასიაში ტყვეების დაცვის შესახებ.

**მუშაობის შეწყვეტა.** კავკასიის ფრონტის შტაბის დადგენილებით არმავირ-ტუაპსის რკინის გზაზე მუშაობა დროებით შესწყვიტეს.

**ქართული უნივერსიტეტის გახსნა.** საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ქართულ უნივერსიტეტის გახსნა მიანდო საბჭოს თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას. უნივერსიტეტი გაიხსნება 26 იანვარს.

**ბათუმის ქალაქის საბჭომ** შუამდგომლობა აღძრა ამიერ კავკასიის კომისარიატის წინაშე დაუყონებლივ მოეწყოს ტელეფონით დამოკიდებულება თფილისს, ბათუმს, ქუთაისსა და ფოთს შორის.

**სახალხო უნივერსიტეტში** დღეს წაიკითხავენ ლექციებს ფიზიკიდან და მუშათა საკითხის შესახებ. დასაწყისი საღამოს 7 ს.

**სახალხო თეატრი.** დღეს, სახ. სახლთან არს. ქართ. წარმ. მმართ. წრის სცენის მოყვარეთა მიერ პროფეს. კავშირების საბჭოს სასარგებლოთ, წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე“. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

**კავკასიის ჯარის საბჭომ** დაადგინა არ იქნას გაუქმებული სამხედრო-ტეხნიკური საბჭო, მოეწყოს საგანგებო საავიაციო რაზმი, რომელსაც საბჭო აღმოუჩენს ყოველგვარ დახმარებას, იმ პირობით თუ ეს რაზმი იქნება ერთი ორგანიზაციის ან პირის განკარგულებაში.

### კრებები და მიტინგები.

**კვირას, დილის 10 საათზე, დანიშნულია ს.-დ. საოლქო კომიტეტის სხდომა.**

— დღეს, საღამოს 5 საათზე, სახალხო სახლში დანიშნულია მეორე რაიონის მესამე ქვე-რაიონის (მეცხრე უბნის) კოლექტივის სხდომა.

— დღეს, საღამოს 7 ს., კლუბის შენობაში (ჭავჭავაძის ქ. № 9) დანიშნულია მე-2 სამილიციო უბანში მცხოვრებ პარტიულ წევრთა კრება.

— კვირას, 21 იანვარს, დილის 10 ს., სახალხო სახლში შესდგება მეორე რაიონში მცხოვრებ პარტიულ წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი. მომხსენებელი კარლო ჩხეიძე, 2) კოლექტივის მოქმედება და 3) არჩევნები კოლექტივისა და კომიტეტის წევრების.

## ქუთაისის ამბები

12 იანვარს ღამით გაქურდეს მე-110 პოლკის ცეიხგაუზი, საიდანაც გაიტანეს სახაზინო ტანისამოსი.

ამავე დღეს, ორპირის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა მთვრალმა აფიცერმა სახალისოთ რევოლვერი ესროლა კატას. ამის გამო მას დაედევნენ მილიციონერები, მაგრამ აფიცერმა დამალვა მოასწრო.

13 იანვარს, დილის 10 საათზე, მწვანე ბაზარში წყალ გაღმა უბნის მილიციონერმა ერისთავმა ერთ უცნობ პირს, რომელსაც ჯარისკაცის ტანისამოსი ეცვა, შენიშნა, რომ ხარებს ყიდდა. მილიციონერმა მოწმობა მოსთხოვა. მოწმობა ყალბი გამოდგა. როდესაც დაპატიმრება მოუნდომეს, წამოეშველა სხვა ჯარისკაცები და მილიციონერებს ცემა დაუწყეს. ყალბ მოწმობიანმა მილიციონერს ხელზე ხანჯალი დაჰკრა, სხვებმა თოფი წაართვეს, მაგრამ იქ დროზე გაჩნდა მილიციის უფროსი მილიციონერებით და ყველანი დააპატიმრა. ხარის გამყიდველი აღმოჩნდა არა ჯარისკაცი, ვინმე ლომთათიძე.

12 იანვარს, ღამით ორმა ჯარის-კაცმა ვიღაც მოწაფეს ცემა დაუწყო. მას მიეშველა გასაზავებლათ იონა ბაქრაძე. მაგრამ ჯარის-კაცებმა იმასაც სცემეს და ხმლით დასჭრეს. მილიციის უფროსმა აღნიშნული ჯარის-კაცები დააპატიმრა. („ს. დ.“).

14 იანვარს ღამის 3 საათზე ქუთაისის ციხიდან გაიქცენ: ლომინაძე, ქორქია და ჩიქვინიძე, რომელნიც მოთავსებულნი იყვნენ ციხის ზედა სართულში. მათ გამოუჭრიათ ფანჯარის რკინის მოაჯირი, საზაფხულო საბანი დაუჭრიათ და იმის საშუალებით ძირს ჩასულან. მათთან წაუყვანიათ ციხის დარაჯი ჯარისკაცი ქართული პოლკისა ბერაძე. ამის გამო დაპატიმრებულ იქნენ ციხის ზედამხედველები გავლოვიჩი და იმედაძე. („ჩ. ქ.“).

## პროვინციის ქრონიკა

**ბათუმი.** მოხდა ს.-დ. მასწავლებლების კრება, სადაც გადაწყდა დაარსებულ იქნას ბათუმის ოლქის მასწავლებელთა კავშირში ცალკე სოც.-დემოკრატიული ფრაქცია. აირჩიეს გამგეობა, რომელშიაც შედიან: ალ. მგელაძე, ევ. ოდიშარია, ზ. წულაძე, ილ. სიხარულიძე და თინა სიხარულიძე.

**შემოქმედი** (გურია). შემოქმედის პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის სასარგებლოთ მიხაკო სიმონიშვილის ხსოვნის აღსანიშნავათ ალ. ნ. მახარაძემ შესწირა 40 მანეთი; ილ. გ. შათირიშვილმა—50 მან. და იურკოვეცკიმ —200 მან.

## თფ. გუბ. სახ. მასწავლებელთა საყურადღებოთ

თანახმად კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატის განმარტებისა თფილისის გუბერნიის სასკოლო მმართველობის შეკითხვაზე, 11 იანვრის ამა წლისა, № 157, პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთ, რომელთაც ეძლევათ ხარჯი ხაზინიდგან და კავკასიის ერობის თანხიდან, ამ თვეში, იანვარში, თანახმად ამიერ კავკასიის კომისარიატის დადგენილებისა, 12 ქრისტიშობისთვეს 1917 წ., მიეცემათ ძირითადი ჯამაგირი 120 მანეთი და ომისგან გამოწვეული მომატება—90 მანეთი, სულ 210 მანეთი.

იანვრის ჯამაგირთან ერთად მიეცემათ ყველა სახალხო მასწავლებელს, რომელნიც არ სარგებლობენ სახელმწიფო თუ საზოგადოების ბინით, დამატებითი დახმარება 5 მარიამობისთვის 1917 წლ. კანონის ძალით—180 მანეთი, პირველ აპრილიდან 31 ქრისტეშობისთვემდე 1917 წლის და დანარჩენთ, ვინც კი სარგებლობს ამა თუ იმ გვარ ბინებით —126 მანეთი, ამავე კანონის ძალით.

ამასთანავე კომისია სთხოვს მასწავლებლებს იქონიონ მხედველობაში ის გარემოება, რომ ჯამაგირების თავის დროზე მიღება დამოკიდებულია არა მარტო სამმართველო კომისიაზე, არამედ ხაზინაზე და ფოსტაზე, რომელნიც არა მათგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ხშირათ დროზე ვერ გზავნიან ფულებს დანიშნულებისამებრ და ამისთვის ჯამაგირები იგვიანებენ ხოლმე.

კომისიის თავმჯ. პ. ჩარექიშვილი.

## გორის ამბები

(10 იანვარს მომხდარი ინციდენტი).

გორის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით 10 იანვარს ამხ. მინაზაროვი და გოგუა წავიდენ ადგილობრივ პრაპორშჩიკთა სკოლაში, რომ იარაღი ჩაებარებიათ, თან ახლდათ ოთხი მცველი და ურმები იარაღის წამოსაღებათ. როდესაც გაამზადეს ყველაფერი და წამოსვლას ეპირებოდენ, მათ წინ გადაეღობა აფიცერი ირემაძე და განუცხადა: არ დაგანებებთ, რომ იარაღი წაიღოთო. მათ უჩვენეს საბჭოების მიერ მიცემული ქაღალდები, მაგრამ ამან ვერ გასჭრა, შემოეხვიენ გარს ერთ როტაზე მეტი ქართული პოლკის ჯარისკაცები, წაართვეს ხარბაზანი და ამხ. მინაზაროვს ხელითაც შეეხნენ—წაართვეს რევოლვერი და საქმე ვინ იცის რითი დამთავრდებოდა, რომ კაპიტანი ოქროევი არ გაჩენილიყო იმ დროს. ასე ამ მდგომარეობაში ჰყავდათ დატყვევებული მთელი 4-ხი საათის განმავლობაში, ყოველ წუთს სიკვდილის მოლოდინში ჩვენი ამხანაგები. ბოლოს აჰყარეს მილიციონერებს იარაღი, შეცვივდენ ყაზარმებში, აისხეს იარაღი და გამოეშურენ გორში მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს იარაღის საწყობიდან იარაღის გასატანად. მათ კი უბრძანეს უკან გაჰყოლოდენ.

საღამოს ხუთი იქნებოდა, რომ ალყა შემოარტყეს საბჭოების იარაღის საწყობს, გასასვლელი კარები ყველა შეჰკრეს და, გარდა სამხედრო პირისა, არავის უშვებდენ. გამოგზავნეს სამი კაცი ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე ვირუბოვთან საწყობის გასაღების წასაღებათ, მაგრამ სანამ გასაღებს მიიტანდენ, მანამ საწყობის კარები უკვე შეემტვრიათ და შესდგომოდენ მთელი ქართველი პოლკის სახელის დამამცირებელ საქმეს. ამ ალაგს მიიჭრენ გულ-გახეთქილნი ამხ. კეცხოველი, ცენტრის თავმჯდომარე იმნაიშვილი, ქალაქის თავი და თვით პოლკის უფროსი მენთეშაშვილი, მაგრამ ამათ არ მისცეს სიტყვის ნება და ხიშტებ მოღერებული გამორეკეს. ამ ამბავმა ღამის თორმეტ საათამდე გასტანა. და კარგა ბლომა იარაღით გაემართენ ყაზარმაში. მოულოდნელი ამბით თავზარ დაცემული ამხანაგები შეიკრიბნენ ლაზარეთის შენობაში და გადასწყვიტეს წინააღმდეგობა არ გაეწიათ, რომ ამით ძმათა სისხლი არ დაღვრილიყო და ეცნობებინათ ყველა ეს. ამიერ კავკასიის კომისარიატისთვის, რაიც უკვე შეასრულეს მეორე დღეს, თერთმეტ იანვარს. მივედით გაძარცულ საბჭოების დასათვალიერებლათ, მაგრამ რას ნახავს ადამიანის თვალები. ვის შეუძლიან ასწეროს ის სამწუხარო სურათი, რაც თვალ წინ წარმოგვიდგა: საწყობის ყველა კარები დამტვრეული, შკაფები დამტვრეული, საქმის ქაღალდები დაფხრეწილი, მუშათა საბჭოს კასა გაძარცული, სოციალ-დემოკრატიული არა ლეგარული სტამბა, რომელიც რევოლიუციის პირველ დღეებში დიდის ზეიმით დროშებით ჯურღმულიდან გადმოვიტანეთ საბჭოში და ვინახავდით ისტორიისათვის გადასაცემათ თავისი ძველის ძველი დაბეჭდილი პროკლამაციებით გაძარცული და ჩვენი გმირ მასწავლებლის ნოე ჟორდანიას სურათი ხიშტით დახვრეტილი.

ყველა ამას ხედავ და ეკითხები შენ თავს: ნუ თუ ამ სიმხეცეს სჩადის ის ჯარი, რომელიც პირველ მოსვლის დღეს დეპუტატ ჩხენკელის წინაშე გორის მოქალაქეებთან ერთათ ფიცს სდებს რევოლიუციის დარაჯი ვიქნებით და ნებას არ მივცემთ ნაძირალებს თავისუფლება შეგვიგინონო. მეორე დღეს თფილისიდან ჩამოვიდა ამხ. ლომთათიძე და ფურცელაძე, ამავე საღამოს შესდგა შეერთებული კრება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების, ქალაქის თვითმართველობის და ჯარის ნაწილებიდან წარმომადგენლების.

კრებამ ამ ამბის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: ქ. გორის მუშათა და ჯარისკაცთა შეერთებულმა სხდომამ აღმასრულებელ კომიტეტისა, ჯარისკაცთა ნაწილების წარმომადგენლებთან ერთათ იქონია რა მსჯელობა იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც მოხდა ქ. გორში 10 იანვარს მე-4 პოლკის ერთი უპასუხისმგებლო ჯგუფისაგან მუშათა და ჯარისკაცთა საწყობიდან იარაღის გატაცების შესახებ, დაადგინა შემდეგი: ვგმობთ რა ასეთ ანარქისტულ გამოსვლას, რომელიც არღვევს ერთ მთლიან რევოლიუციონურ ფრონტს და შეაქვს არევ-დარევა ძალთა განწყობილებაში, ვადგენთ: ა) მიეცეს ქართველ პოლკს წინადადება დაუყოვნებლივ დაუბრუნოს მუშათა და ჯ.-კ. კუთვნილი იარაღი და სხვა ნივთები, რომ ამით შეჰქმნას სახალხო მილიცია რევოლიუციის ლოღიკურ დასკვნამდის მისაყვანათ. ბ) იარაღის ჩამორთმევა იმ ეშელონებისა, რომელნიც ფრონტიდან მოდიან ან იმ ბნელი ძალების, როლებიც მრავლათ მოიპოვებიან ქ. გორში, უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მუშ. და ჯარისკაცთა აღმ. კომიტ. განკარგულებით და ყველა ჩამორთმეული იარაღი გადადის მათივე ხელში, გ) დანიშნულ იქნას საგამომძიებლო კომისია, რომელიც გამოარკვევს მომხდარს ინციდენტს და დაუყონებლივ მიცემული იქნება პასუხის გებაში ყველა დამნაშავე პირი, დ) მიეცეს წინადადება პოლკის კომიტეტს მიიღოს ენერგიული ზომები, რომ პოლკი მოეწყოს ორგანიზაციულათ, რომ წარმოადგენდეს ერთ მთლიან რევოლიუციონურ ერთეულს, ე) არჩეულ იქნას განსაკუთრებული კომისია, რომელიც დაიცავს ქ. გორში წესრიგს. ვ) მოხდეს ხელახალი არჩევნები აღმასრულებელი კომიტეტისა, როგორც მუშათა, აგრეთვე ჯარისკაცთა, ზ) დაუყონებლივ შესდგეს რევოლიუციონური ტრიბუნალი.

მეორე დღეს, 13 იანვარს შესდგა მოქალაქეთა და ჯარისკაცთა შეერთებული კრება ქართულ პოლკში. თავმჯდომარეობს ამხ. ლომთათიძე. ქართულ პოლკის ჯარისკაცებს სიტყვებით მიმართეს ამხ. ფურცელაძემ, ჯარისკაცმა ჩახუნაშვილმა და ალ. ლომთათი-

ძემ, მათ სასტიკათ დაჰგმეს ზოგიერთ ჯარისკაცების ასეთი მოქმედება და მოუწოდეს მომავალში აღარ ჩაედინათ ასეთი სამარცხვინო საქმე.

მეორე დღეს დააბრუნეს მუშათა და ჯარისკაცთა საწყობიდან წაღებული ვინტოვკები, ტყვიისმფრქვეველები და სხვა. სულ საბჭოს საწყობიდან გაიტაცეს 1200 ც. ვინტოვკა, დაბრუნდა 500 ც. დაიკარგა 700 ცალამდე. კომისარიატის საწყობიდან დაიკარგა აგრეთვე აუარებელი თოფები და სხვა იარაღი.

მუშა—გორელი.

## ბალშევიკური „საქმიანობა“

ბალშევიკები ყოველთვის ცდილობენ რათაც არ უნდა დაჯდეს, დემოკრატიის მთლიანი ფრონტი დაშალონ, დემოკრატიის ძალა დაქსაქსონ, დააქუცმაცონ, ძმას ძმის სისხლი აღვრევინონ, სამოქალაქო ომი გააჩაღონ.

რუსეთის უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ნაწილებში მათმა ცდამ აკი შესაფერი ნაყოფიც გამოიღო!!

მთელი რუსეთი ანარქიამ მოიცვა. სავსებით დაინგრა, დაიშალა საზოგადოებრივ სახელმწიფოებრივი აპარატი. ქვეყანა უპატრონოთ დარჩა, თუ კი სახეში არ მივიღებთ ლენინ-ტროცკის არამკითხე და ძალათ მაცხონე ხიშტებით მოვლენილ მთავრობას.

ამიერ კავკასიის დემოკრატიამ, მოწყვეტილმა რუსეთის მოძმე დემოკრატიას, აიღო თავისი ბედი საკუთარ ხელში და მის მოწყობას შეუდგა. მისი ცდა იქით იყო მიმართული, რომ დამფუძნებელ კრებამდე როგორმე თავი დაეფარა საშინელ ანარქიისაგან; მან ეს განზრახვა სისრულეშიაც მოიყვანა.

მაგრამ ეს არ მოეწონათ ჩვენებურ ბალშევიკებს და ამიერ კავკასიის დემოკრატიას,—ყველა მის რევოლიუციონურ და დემოკლატიულ ორგანოების სახით ომი გამოუცხადა. არ არის ხერხი, რომლისთვისაც მათ არ მიემართათ, არ არის საშუალება, რომელიც მათ არ გამოეყენებიოთ, მაგრამ დღემდის მაინც ვერ შესძლეს ჩვენში ძმათა შორის სისხლის ღვრის გამოიწვევა. კავკასიელი ბალშევიკები, თუ ჩამორჩენ თავის რუსეთელ მოძმეთ სამოქალაქო ომის ცეცხლის დანთებაში, სამაგიეროთ მათ შეუძლიათ იამაყონ ბრძოლის ახალი საშუალების გამოგონებით--სამხედრო ნაწილებში „საპროვოკაციო აგენტურის“ მოწყობით.

მე არ ვიცი სხვა რა სახელი უნდა ეწოდოს იმ გამოსვლებს, რომელთაც ამ დღეებში მეშვიდე ქართულ პოლკში ჰქონდათ ადგილი და რომელთაგან 15 იანვრის ინციდენტი ყველაზე უფრო სამწუხარო იყო.

11 ნახ. საათი იქნებოდა. ჯარის-კაცების სადგომში მოვიდა ვიღაც გალეშილი ჯარის-კაცი და დაიწყო ყვირილი: „აისხით თოფ-იარაღი, გამოდით გარეთ! ჩვენ გვიჭერენ, ჩვენ იარაღს გვართმევენ, ჩვენ გვხოცავენ“. თერთმეტი ჯარის-კაცია დახოცილი... ჯიბგირებს და ავაზაკებს კი იარაღს აძლევენ და მილიციას და წითელ გვარდიას ეძახიან! მაგრამ ისინი „ბურჯუაძეების“ მიერ მოსყიდული არიან და ჩვენი—საწყალი მუშების, ჯარის-კაცების და გლეხების მტრებიაო.

ამ ცნობას გამოეხმაურა ერთი ბალშევიკური ჯგუფი. მას, სამწუხაროთ, აყვენ ნაკლებათ გათვითცნობიერებული ამხანაგები და ცოტა ხნის განმავლობაში უმრავლესობა ყაზარმაში მყოფ ჯარისკაცებისა თოფებით ხელში გამოვიდენ გარეთ და მილიციონერებისა და წითელ გვარდიელებისათვის იარაღის ახაყრელათ და მათი დასახოცათ დააპირეს წამოსვლა. მაგრამ მათ წინაღუდგენ რამდენიმე შეგნებული ამხანაგები და დიდი ხვეწნა-მუდარისა და ახსნა-განმარტებების შემდეგ ეს სისხლის საღვრელათ გამზადებული ამხანაგები ისევ უკან დააბრუნეს.

16 იანვარს გამართულ იქმნა მიტინგი წინა დღის ინციდენტის და მასთან დაკავშირებულ რამოდენიმე კითხვების განსახილველათ. ის იყო დაათავა მომხსენებელმა თავისი საკმაოთ შინაარსიანი სიტყვა, რომ მიტინგს, თითქო ზეციდან ჩამოფრინდაო, ეწვია ბ. თედორე კალანდაძე. მას ამაყათ წინ მოუძღოდა 15 იანვარს შეიარაღებული გამოსვლის ხელმძღვანელი. მან შემოარღვია მიტინგის წრე და გაუკაფა გზა ბ. თედორეს ტრიბუნისაკენ. ერთი იქ მყოფი „მაგარ ბალშევიკთაგანი“ თავმჯდომარის ნებადაურთველათ ავიდა ტრიბუნაზე და მიმართა მიტინგს: „ამხანაგებო! ჩვენ მუნჯები ვართ, ჩვენ ლაპარაკი არ შეგვიძლია. ვისაც ლაპარაკი შეუძლია ჩვენთან არის, ისინი „ბურჯუაძების“ მოყიდულები არიან. ამ დღეს მოვიდა ჩვენთან ისეთი კაცი, რომელიც ჩვენს მაგიერ ჩვენს გაჭირვებაზე ილაპარაკებს!“ ილაპარაკოს, ილაპარაკოს, მოისმის ხმები. ბატონმა კალანდაძემაც სიტყვა ითხოვა და ნებართვა ჯერ კიდევ არ მიეღო ისე ტრიბუნისაკენ გადმოაბიჯა. მაგრამ აქ მდივანმა წესრიგისათვის აიღო სიტყა, განუმარტა მიტინგს შეკრების მიზანი, დღის წესრიგში დასმულ კითხვათა განხილვის და შესაფერ რეზოლიუციების გამოტანის აუცილებლობა და სთხოვა დამსწრეთ განეგრძოთ დაწყებული მუშაობა. თან ბ-ნ კალანდაძესაც მიმართა შემდეგი სიტყვებით: დღეს მიტინგს ძლიერ საჩქარო და საჭირო კითხვები აქვს გადასაჭრელი, რომელთაც ახლო კავშირი აქვს პოლკის ოჯახურ ცხოვრების მოწესრიგებასთან. თან გაუგებრობით წარმოშობილი ჯარისკაცთა დღევანდელი სულიერი განწყობილებაც ისეთია, რომ თქვენს გამოსვლას, შეიძლება, სამწუხარო შედეგებიც მოყვეს, რაც მე მგონია, თქვენთვისაც არ იქნება სასურველი. გამოვდივარ რა ამ შეხედულებიდან, გთხოვთ დღეს ნუ ილაპარაკებთ; ახლო მომავალში საგანგებოთ ამ მიზნისათვის გავმართავთ მიტინგს, მოვიწვევთ სხვა პარტიების წარმომადგენლებსაც და მაშინ რამდენიც გნებავთ ილაპარაკეთ. პოლიტიკურ ბრძოლის წესიც, მე მგონია, ამას გავალებს თქვენო. კალანდაძემ უპასუხა: მე მომიწვიეს და მოვედი. რაკი მოვედი დღეს უნდა ვილაპარაკო აუცილებლათო.

ბოლოს საქმე იქნამდე მივიდა, რომ თავმჯდომარე და მდივანი ორივე გადადგენ. ახალი თავმჯდომარისა და მდივნის არჩევნები ბალშევიკებმა ვეღარ შესძლეს და, ამრიგათ, სამუშაოთ მოწვეული მიტინგი დაიშალა.

სანამდე უნდა განაგრძონ ამ ვაჟბატონებმა ასეთი უპასუხისმგებლო მოქმედება? აქამომდე შინაური უკმაყოფილება მეგონა, თუ რაიმე უწესოებას ვხედავდი ჩვენს ჯარისკაცებში. მაგრამ დღეს ჩემთვის (და მგონია ყველასათვის) ცხადზე უცხადესი არის, რომ აქ ბალშევიკების ფარული მოღვაწეობა ყოფილა გაჩაღებული. შეიარაღებული გამოსვლა უნდათ მოაწყონ და პასუხისმგებლობას გაექცენ! მაგრამ დღემდის თუ ფარულათ აწყობდენ ამას, დღეს, შეიძლება მათდა შეუმჩნევლადაც, გამოაშკარავდა მათი განზრახვა. 15 იანვრ. შეიარაღებული გამოსვლის ინიციატორ-ხელმძღვანელები, დღეს თ. კალანდაძეს მიუძღვებიან წინ მიტინგისაკენ. ეგება რაიმე კავშირი არის ამ ორი დღის ორ მოვლენათა შორის!

ეს ვაჟბატონები სარგებლობენ ზოგიერთი ჯარისკაცების გულუბრყვილობით და შეიარაღებულ გამოსვლას აწყობენ.

ნუ თუ მათ გონიათ, რომ მშრალათ გავლენ ფონს? თ. კალანდაძე და კომპანია დღეს მოულოდნელათ მახეში გაებენ. აწი მაინც ხომ ვერ გაექცევით, ბატონებო, პასუხისმგებლობას, რომ მეშვიდე პოლკში რაიმე მოხდეს!..

ნარ—ონი.

## რუსები ყარაიაზის რაიონში

30 დეკემბერს მივიღეთ ტელეგრამა ყარაიაზის რაიონის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ტურ—სგან რუსის სოფელ **ვოიეკოვზე** თათრების თავდასხმის შესახებ.

თფილისის მაზრის კომისარმა ასათიანმა გადასწყვიტა წასულიყო ყარაიაზის რაიონში და წაეყვანა თან მილიციონერები, რადგან შეუძლებელი იყო წინათვე განსაზღვრა, თუ რა პირობებში გაივლიდა ამ საქმის მოწესრიგება.

ჩვენდა სამწუხაროდ თითქმის ხელცარიელი მოგვიხდა წასვლა, რადგან ჩვენი თხოვნა და მუდარა გაეყოლებიათ ჩვენთვის შეიარაღებული ხალხი არავინ შეიწყნარა, მხოლოდ რის ვაი-ვაგლახით დავარწმუნეთ რუსების ეროვნული საბჭო, მოეცა ჩვენთვის რვა კაცი. ეს რვა კაციც, უნდა მოგახსენოთ, არამც თუ არაფერში არ გამოგვადგა, არამედ ხელიც კი შეგვიშალეს, რის შესახებ არ მინდა ლაპარაკი.

ყველა ამისთვის იძულებული ვიყავით გვესარგებლნა მხოლოდ ჩვენივე ძალით, რომელიც ძალიან მცირეა, და ამ ძალით წავსულიყავით აოხრებულ სოფლის მისაშველებლათ. ჩვენ ვისარგებლეთ ჯავშნიან მატარებლით, რომელიც მიემგზავრებოდა რკინის გზის დასაცავათ და ამ მატარებლით ჩავედით ყარაიაზამდის. ყარაიაზში ვიყავით ორ იანვარს საღამოთი.

პირველი დღე მოუნდა საქმის დაწვრილებით გაცნობას, რისთვისაც ვსთხოვეთ ყველა რუს და თათრის სოფლებს გამოეგზავნათ თავიანთ ამორჩეული კაცები.

მინამ გადმოგცემთ საქმის ვითარებას, საჭიროთ ვრაცხ გაგაცნოთ სოფლების მდგომარეობა და ის პირობები, თუ როგორ მიმდინარეობდა მათი ცხოვრება და ამ ორი ეროვნების ერთმანეთში დამოკიდებულება.

ყარაიაზის რაიონში არის დასახლებული სულ სამი რუსის სოფელი: მიხაილოვკა, ტატიანოვკა და ვოიეკოვო.

სად. ყარაიაზიდან ვერს ნახევარზე სამხრეთით მდებარეობს თათრის სოფელი კარა-ტაპა. უკანასკნელიდან აღმოსავლეთით ერთ ვერსზე გაშენებულია სოფ. მიხაილოვკა, რომელიც შეიცავს ორასამდის კომლს, აქვე მდებარეობს შესანიშნავი კულტურით და სიმდიდრით საცდელი მინდორი (ოპიტნოე პოლე). უნდა აღვნიშნო, რომ, ჩვენდა საუბედუროთ, ამ სიმდიდრეს და კულტურით სავსე ალაგს რუსების გადასახლების შემდეგ პატრონი აღარ გამოუჩნდა და დღეს თუ ხვალ შეიძლება აოხრებული იქნეს თათრების მიერ.

მიხაილოვკიდან ისევ აღმოსავლეთით მდებარეობს ორი თათრის სოფელი კოსალო და ნაზარლო. აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით ტყის პირათ ოთხ-ხუთ ვერსზე არის გაშენებული სოფ. ვოიეკოვო და შეიცავს 70 კომლამდის. მესამე სოფელი, ტატიანოვკა, მდებარეობს ყარაიაზიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ლიანდაგიდან აქედან მარცხნივ; ეს სოფელი იქნება 50 კომლამდის და იმყოფება სად. ყარაიაზიდან 5—6 ვერსზე. აქვე არის თათრების ორი სოფელი ჯანდაროვკა და კაპანაკჩი.

1902 წლამდის მთელი ყარაიაზის რაიონის მინდვრები ხელში ეჭირათ და სარგებლობდენ თათრები. მთელი თათრობა ამ რაიონში მისდევს ცხვრის და საქონლის მოშენებას. მხოლოდ მეჯოგეობა შეადგენს მათ ცხოვრების წყაროს და თუმცა ალაგი ბლომათ ჰქონდათ, მაგრამ ბუნება მაინც და მაინც ხელს არ უწყობდა. ყარაიაზის სიცხე და ამ სიცხისგან გადამწვარი მინდვრები ადრე გაზაფხულიდანვე (ყარაიას ნიშნავს შავ გაზაფხულს) აიძულებდა მეჯოგეებს შეჰკედლებოდენ ტყიან მტკვრის ნაპირებს და იქ ეძოვებინათ თავიანთი ცხვარი და საქონელი. ეს გამომდინარეობდა იქიდან, რომ ადრე გაზაფხულზევე ყარაიაზის მინდვრები სიცხისაგან იწოდა, იბუგებოდა და საქონელ-ცხვარს საძოვარი აღარა ჰქონდა. რომ გაერეკათ მთაში, იქ ასე ადრე ისევ თოვლი იდო და ძოვება შეუძლებელი იყო; ამისათვის ერთათ-ერთი გზა იყო, რომ გადაერჩინათ თავიანთი ცხოვრება, შეჰკედლებოდენ ტყიან მტკვრის ნაპირებს, საცა სიგრილის გამო კიდევ მოიპოვებოდა ბალახი. ამ სიგრილეს, რასაკვირველია, ბადებდა ტყე და მტკვრის სინოტივე. ეს უბედურება იყო ერთი მიზეზთაგანი, რომელმაც წარმოშვა ეხლანდელ რუსთათრების უკმაყოფილება. ამის დაწვრილებით გაცნობისთვის ჩემს მესამე წერილში მოვიყვან დაახლოვებით ამხ. ზოდელავას სიტყვას, წარმოთქმულს საქმის გარჩევის დროს და ეს სიტყვა ნათლათ დაგვანახვებს იმ ყველა უსამართლობას, რასაც ყველა ყარაიაზელი გრძნობდა.

როგორც მოგახსენეთ, თათრები მისდევენ ამ რაიონში საქონლის და ცხვრის მოშენებას. ძველიდანვე მიწის მუშაობას არ მისდევდენ და ამიტომ აქაური თათრები საზამთრო პურს ყიდულობდენ და მოჰქონდათ შორიდან. დედამიწაც არ უწყობდა ხელს მიწის მუშაობას სიცხის გამო. მთავრობამ მიაქცია ყურადღება ამ რაიონს და მის მოსარწყავათ დაიწყო არხების გაყვანა. თავი არხი არის გაყვანილი მტკვრიდან და ჰქვიან მარიინის არხი. ამ არხიდან ყოველ თითო ვერსზე არის გაყვანილი ერთი ერთმანეთზე პარალელურათ წყლის გამრიგებელი არხები და ამისთანა უკვე კარგათ დაყენებული არის თხუთმეტი არხი. ამ არხებით ჩაუდგეს სული ამ გადამწვარ უდაბნოს, მისცეს სიცოცხლე რაიონს, ჩარგეს ხეები, მოხნეს, მოთესეს მინდვრები და გააშენეს კიდეც ისეთი საკვირველი ბაღები, როგორიც არტყია გარს მდიდარს საცდელ მინდვრის შესანიშნავ შენობებს. ეს მოხდა მესამოცე წლებში და აქედან ქრისტიანობის აღმასრულებელ საზოგად. მიერ კავკასიაში რუსების დასახლება იწყება მეოცე საუკუნიდან; მიხაილოვკა დაესახლა 1902 წ., ტატიანოვკა—1907 წ. და ვოიეკოვო—1911—12 წ.წ. ეს უკანასკნელი სოფელი ისე გაამაყდა მთავრობის დახმარებით, რომ არ ერიდებოდა არავითარ ზომებს შეევიწროვებინა თავის მეზობელი თათრობა. რა საქმეშიაც უნდა შეხვედროდენ რუსები თათრებს, უკანასკნელი ყოველთვის დამარცხებული რჩებოდა იმ დროს, როდესაც რუსი უფრო ამაყობდა თავის გამარჯვებით და არ უკვირდებოდა სრულიად იმას, თუ რა წყაროდან გამომდინარეობდა ეს გამარჯვება. თათარი, ძველი მთავრობის მათრახით დაშინებული, ხმას არ იღებდა, მაგრამ არ შეეძლო დაევიწყნა ასეთი მათი მეზობლობა. დავუბრუნდები საქმეს.

ჩვენ სადგურიდანვე წავედით საცდელ მინდორში, რადგან გვითხრეს, რომ გამოქცეული ვოიეკოველები იქ არიანო. ეზოში შესვლისთანავე თვალწინ წარმომიდგა რამდენიმე ბარგი-ბარხანით სავსე ფურგონი; მთელი დიდი ეზო სავსე იყო მხოლოდ რუსი კაცებით და ქალებით. ერთ თათარს ვერ მოჰკრავდით თვალს. აქ გამოკითხვით, მეტადრე არჩეულ კაცების ნალაპარაკევიდან,—გამოირკვა შემდეგი: 29 დეკემბერს სოფ. ვოიეკოვოში მოუტანიათ ამბავი ნაზარლოელ თათრებს, რომ შიხლიელები აპირებენ თქვენზე თავდაცემასო. სოფ. შიხლი არის თათრის სოფელი, იმყოფება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და ეკუთვნის ბორჩალოს მაზრას. შეშინებული ამ ხმებით, ვოიეკოველები აწიოკებულან და მაშინვე გადაუწყვიტავთ აყრა და მიხაილოვკაში გადასვლა. გაგზავნეს მაშინვე კაცები თათრის სოფ. ნოზარლოში და სთხოვეს ურმები ბარგის გადასატანათ მიხაილოვკაში. ურმები მოვიდენ და ვოიეკოველები შეუდგენ საჩქაროთ თავის ბარგის ჩალაგებას. შებინდდა, ამ დროს გაისმა ხმა შიხლოელები მოდიან დასაცემათო და შეუდგათ ალიაქოთი. ხალხი აწიოკდა და ამ აურ-ზაურმა ნაზარლოელ თათრებში მუქთად მოხვეჭის ინსტიქტი გააღვიძა და იმათაც დადებული ურმები გაიტაცეს, საითაც უნდოდათ. იმის მიუხედავათ, რომ ასეთი ალიაქოთი იყო ატეხილი, ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა იმ დღეს. ცხენოსანმა თათრებმაც, რასაკვირელია, ისარგებლეს და თან წაიღეს 79 თოფი, რომლებიც ჰქონდათ მიცემული ვოიეკოველებს ნაწილი მთავრობისგან და ნაწილი ყაზახებისგან, თავის დასაცველათ. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ დროს ვოიეკოვოში იდგენ 60 კაცამდის ყაზახები და არავითარი დახმარება სოფელს არ ამოუჩინეს, არ ვიცი რა მიზეზით.

თუ რა მოჰყვა ყველა ამ ამბავს, ამას ავწერ ჩემს მესამე წერილში, მხოლოდ ეხლა კიდევ მინდა ვსთქვა ის, რომ ამ შემთხვევამ დაანახვა თითონვე რუსებს, რომ თათრების ასეთი მოქცევა გამოწვეული იყო მათივე ცუდი მეზობლობით.

დ. გ—ძე.

## მიწის საკითხი

15 იანვარს პროფ. ზახაროვის თავმჯდომარეობით შესდგა ამიერ კავკასიის საადგილ-მამულო კომიტეტთან არსებულ საკანონმდებლო სექციის კრება.

სექცია ეხლა შეუდგება იმ დებულებების შემუშავებას, რომელიც განმარტება იქნება ამიერ კავკასიის კომისარიატის მიერ 1917 წ. 16 დეკემბერს გამოცემულ დეკრეტის.

კრებამ მოისმინა ი. იგნატიევის მოხსენება იმ დაგირავებულ მიწების შესახებ, რომლებიც სხვა კერძო მიწებთან ერთათ მიწის კომიტეტებს უნდა გარდაეცეს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჯერ, სანამ დამფუძნებელ კრებას საბოლოოთ არ შეუმუშავებია საკითხი მიწების განაწილების შესახებ, კერძო მიწების საკითხი გამოურკვეველია; მისი დასაკუთრება უნდა თვით პატრონს, მიწის კომიტეტს და ამიერ კავკასიის მიწის კომიტეტს. ასეთ მდგომარეობაში გამოურკვეველია ვინ უნდა შეიტანოს გადასახადები და ბანკის პროცენტები. ამიერ კავკასიის ყველა საკრედიტო ოპერაციების 20 პროც. კი მიწებზე გაცემული სესხი შეადგენს.

1917 წლის 1 იანვარს მიწებზე გაცემული სესხი უდრიდა 24 მილიონს და 93 ათასს მანეთს. ხოლო კერძო ვალები დაახლოებით იყო 21.402.360 მ. ამ გვარათ მთელი მიწების სივრცით 1 მილიონ 280 ათას დესიატინის ვალი უდრის 46—47 მილიონ მანეთს. და ამ ვალის პროცენტები კი 1 მილიონ 130 ათას მანათს. ამას რომ სხვა გადასახადებიც მივუმატოთ გამოვა, რომ მთელი ამიერ კავკასიის მიწებზე წლიური გადასახადი მოდის 2 მილიონი მანეთი წელიწადში. ეს გადასახადები ხომ ვინმემ უნდა შეიტანოს, უმეტესათ ეხლა, როცა საბოლოოთ გამორკვეული არ არის ამ მიწების ბედი. პატრონები იმ მიწებისა, რომლებიც მიწის კომიტეტებს გადასცეს, რასაკვირველია, არავითარ გადასახადს არ შეიტანენ.

აქედან აშკარაა ეს გადასახადები იმან უნდა შეიტანოს, ვის ხელშიაც მიწები იქნება ე. ი. მიწის კომიტეტებმა. ამ გადასახადებს მიწის კომიტეტები გადაიხდიან იმ მიწების შემოსავლიდან, რომლებიც მის ხელში გადავიდა. როცა მსხვილ მიწის მესაკუთრეთა მიწის ნაწილი მესაკუთრეს ხელში რჩება, ის შეადგენს მთელი მიწების მცირე ნაწილს და კომიტეტის ხელში გადასულ მიწების შემოსავლიდან თამამად შეიძლება ყოველივე გადასახადების და ხარჯების დაფარვა, ხოლო წვრილი მიწების კონფისკაციის დროს მისი შემოსავალი ვერ დაფარავს ხარჯებს. მიწის კომიტეტებმა ეს უნდა აცნობონ მეპატრონეებს და უკეთუ გადასახადი დროზე ვერ შეიტანეს, გადასახადი განაწილებული იქნება მეპატრონეს ხელში დარჩენილ და მიწის კომიტეტების განკარგულებაში გადასულ მიწებზე. ის დაწესებულებები, რომლების ხელშიაც იქნება მიწების ფონდი, იმ ვალების პროცენტებს იხდის, რომლებიც აღებულია 1917 წლის 12 ივლისამდე (მიწების ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა) და აგრეთვე იმ ვალებისაც, რომლებიც შემდეგ აიღეს საგუბერნიო მიწების კომიტეტების ნებართვით.

სანამ დამფუძნებელი კრება საბოლოოთ შეიმუშავებს მიწის საკითხს, მიწების კომიტეტების ხელში გადასულ მიწების შემოსავალი, რაც ყველა ხარჯების გასტუმრების შემდეგ დარჩება, მეპატრონეს ეკუთვნის. მომხსენებლის პირველმა თეზისმა, რომელიც შეეხება პროცენტების შეტანას, დაწესებულებების მიერ დიდი კამათი გამოიწვია. ზოგიერთები მომხსენებელს მიემხრენ და ამტკიცებდენ, რომ ყველა გადასახადები ამ მიწებზე, მიწის კომიტეტებმა უნდა იკისრონ, რადგან იგინი ისარგებლებენ ამ მიწებით.

ზოგი ამტკიცებდა, რომ ეს გადასახადები უნდა იკისროს სახელმწიფომ, რისთვისაც უნდა გამონახოს სპეციალური წყარო. ამისთვის ვაჭარ მრეწველებს უნდა დაადვან სპეციალური გადასახადი. მიწათ მოქმედების სამინისტროს საქმეთა კომისარმა ნერუჩევმა განაცხადა, რომ სანამ დამფუძნებელი კრება საბოლოოთ არ გადასწყვეტს მიწის საკითხს, შეიძლება გადასახადების შეტანა შეჩერებულ იქნასო. კითხვის საბოლოოთ გამორკვევა შემდეგ კრებისთვის გადაიდო.

## მიწის საკითხის გარშემო

(წერილი სენაკის მაზრიდან).

ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემული დეკრეტი დეკრეტათ დარჩება, თუ ადგილობრივი ორგანოები, განსაკუთრებით საადგილ-მამულო კომიტეტები და მშრომელი გლეხობა დღესვე არ შეუდგებიან ფაქტიურათ ამის განხორციელებას ყოველი საჭირო მასალების დამზადებით. კითხვის არსებითად შესწავლით და მის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებით. უნდა ითქვას სიმართლე, დღემდე არც ერთ ჩვენ ორგანოებს სწორი მასალები არ მოეპოვება. სამეურნეო აღწერის მასალები ამ საქმეში გამოუსადეგარია, ვინაიდან ისაა დამყარებული მხოლოდ პირად ჩვენებებზე. მემამულე მუდამ ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლები ეჩვენებია თავის მამულის რაოდენობის ციფრი. არის ცოტათი მასალები საოლქო სასამართლოების სამიჯნაო განყოფილებაში, მაგრამ აქ შეიძლება იყოს მხოლოდ რამოდენიმე საზოგადოებების, ვინაიდან ყველგან გამიჯვნა არ მომხდარა, მთავარი მამულები გადაუმიჯნველია. მასთან არაა გამოკვლეული, თუ რომელი სოფელი როგორი ნიადაგიანია. ერთი სოფელიც ნიადაგის ღირსების მხრივ განიყოფება რამოდენიმე ნაწილებათ. არ არის გამოკვლეული, თუ რომელი სოფელი რა მეურნეობის დარგს მისდევს. შეიძლება იყოს ამის ზერელე ცნობა, რაც მიწის კითხვის გადაჭრის დროს სრულებით გამოუსადეგარია. როცა კითხვა ეხება მემამულეთა მიწების ჩამორთმევას, აქაც უნდა გვქონდეს სწორი ცნობა, თუ რომელ მემამულეს რა და რა ღირსების მიწები აქვს, რა და რა მეურნეობის დარგს მისდევს. ეს გამოსადეგია იმ ნორმის გადაჭრაში, რაც მემამულეს უნდა შევანარჩუნოთ. აგრეთვე მთავარია მიწების განაწილება. ამისათვის გვესაჭიროება თვით სოფლის მუშათა მეურნეობის მდგომარეობის ყოველ მხრივ შესწავლა, რათა მიწების განაწილებამ არ გამოიწვიოს ერთი აურ-ზაური და სოფლის მუშათა შორის უთანხმოება. საამისო მასალებიც ჩვენ არ მოგვეპოვება.

დეკრეტის გამოცემა ადვილია, პრაქტიკულათ მისი განხორციელება მოითხოვს დიდ დაკვირვებას, კითხვის არსებითად შესწავლას. სად უნდა ვეძიოთ ჩვენ ეს მასალები, საიდან უნდა შევიძინოთ ჩვენ ეს ცოდნა? ეს შესაძლებელია უმთავრესათ სოფლისავე მუშების საშუალებით. აქ უნდა ვეძიოთ წყარო ამ ცოდნისა.

ამ მხრივ ქუთაისის გუბერნიის საადგილ-მამულო კომიტეტმა უკვე გადასდგა შესაფერი ნაბიჯი. მან გადასწყვიტა გამოიკვლიოს მსხვილ მამულების, ტყეების რაოდენობა და მიიღო მრავალი საყურადღებო პრაქტიკული დადგენილება. ეხლა საჭიროა ამ დადგენილებების დაჩქარებით გატარება ცხოვრებაში და ყოვლის უმთავრესათ საჭიროა მასალების დაჩქარებით შეკრება. უმთავრესია ჩვენთვის მემამულეთა ტყეების, საეკლესიო, სამონასტრო და სხვათა მიწების აღწერა. ამას ბევრი დრო არ სჭირია. შეიძლება აღწერა არ იქნეს სწორი, მაგრამ ამისი შესწორება შესაძლებელია შემდეგში, როცა საადგილ-მამულო კომიტეტები მოიწვევენ თავის შტატში მიწის მზომელებს და სხვა სპეციალისტებს. თუ ეს ცნობა დაახლოვებით მაინც არ იქნა შეკრებილი ამ ახლო ხანებში და გაზაფხულისათვის თუ სოფლის მუშებს სამუშაო მიწა არ მივეცით, უსათუოდ ჩვენში დიდი ანარქია იჩენს თავს და სოფელი გადაიჩეხება სადმე უფსკრულში. მშიერი ხალხი დაპირებებით ვერ გაძღება. არ ვიცი სხვა მაზრებში როგორაა საქმე, მაგრამ სენაკის მაზრის საადგილ-მამულო კომიტეტმა დაიწყო ამ მხრივ მუშაობა. 10 იანვარს შესდგა სენაკის მაზრის საადგილ-მამულო კომიტეტის სხდომა. კომიტეტმა დაადგინა: თითოეულ საზოგადოებაში მოახდინოს ყრილობა, რომელსაც გაეცნობა მიწის დეკრეტის შინაარსი. იქვე არჩეულ უნდა იქნას ფართე შემადგენლობით კომისია. კომისია აღწერს ყველა იმ მსხვილ მამულებს, რაც იმ საზოგადოებაში მოიპოვება. ყოველ შემთხვევაში, მეზობელს მეზობელ მემამულის მამულის რაოდენობა არ გამოეპარება. მან კარგათ იცის, თუ მემამულის რომელ ადგილზე ვინ მუშაობს, რამდენი აქვს დაუმუშავებელი, როგორი ქონების პატრონია მემამულე და როგორ აწარმოებს თავის მამულს და როგორი ღირსებისაა მამული. კომისია აღწერს მეზობლების დაკითხვით ამ მამულებს. კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს ეს წინასწარი მუშაობა მოათავოს თებერვლის პირველ რიცხვამდე. ამისათვის მან დანიშნა დროებითი ხელმძღვანელი გამოცდილი ინსტრუქტორები, რომელთა ხელმძღვანელობით ხელათ ხდება საზოგადო ყრილობა და კომისიების მუშაობა. მასთან ამავე ინსტრუქტორების შემწეობით უმთავრეს რაიონებში ეწყობა სარაიონო საადგილ-მამულო კომიტეტები. თებერვლის შუა რიცხვებამდე უნდა მოხდეს ყველა ამ კომისიების წარმომადგენელთა, სოფლის მუშათა საბჭოების და აღმასრულებელი კომიტეტების ყრილობა, სადაც კომისიების მთელი მუშაობას უნდა გავუკეთოთ ჯამი, გამომუშავდება ნორმა, თუ რამდენი უნდა დარჩეს მემამულეს, როგორ მოხდეს დროებითი მიწის სარგებლობა მუშების მხრივ და სხვა... დროებითი სარგებლობის შესახებ დადგენილია, რომ, სანამ მიწის საკითხი გადაიჭრებოდეს ამიერ-კავკასიის ადგილობრივი თუ საერთო დამფუძნებელი კრების მიერ, მანამ მიწა მიეცეს მუშებს მხოლოდ ერთი წლის ვადით. თუ რა პირობებში მიეცემა მიწა, ამაზე უნდა სთქვას თავის სიტყვა იმავე ყრილობამ. იქნება, რასაკვირველია, მცირე გადასახადი. გადასახადის რაოდენობის საკითხს სწყვეტს იგივე ყრილობა. აღწერილ მამულების რაოდენობის ანგარიში გაეგზავნება ქუთ. გუბ. საადგილ-მამულო კომიტეტს, სადაც უნდა გადასწყდეს ჩამორთმევა.

შემდეგ გვესაჭიროვება კითხვის საბოლოოთ გადაჭრისათვის სხვა მასალებიც, რაც ზემოთხსენებულია, მაგრამ ამის შეკრება შესაძლებელია შემდეგ თვეებში. ეხლა მხოლოდ უნდა გამოცხადდეს ესა თუ ის მამული ჩამორთმეულათ, რათა სოფლის მუშები დავარწმუნოთ, რომ მემამულეებს მიწა ზომაზე ზევით არ შერჩება, და ამით მემამულეთა საფრთხე თავიდან ავიშოროთ. მიწების დროებით მომვლელია საადგილ-მამულო კომიტეტები. სენაკის მაზრაში მსხვილ მემამულეების რაოდენობა ბევრია. ამასთან ტყეებიც ბლომათაა. ის უკვე ხალხის საკუთრებათაა გამოცხადებული. ამათი დაცვაში, სანამ დარაჯები და ტყის მცველები არ დაგვიქირავებია, უნდა დაგვეხმარონ სოფლის კომისიები.

მაშასადამე, სენაკის მაზრის საად.-მამულო კომიტეტს დღეს ძალიან რთული კითხვა აქვს გადასაჭრელი და ამისათვის საჭიროა ფართე საზოგადოების, ყველა რევოლიუციონური ორგანიზაციების და ყველა მოწინავე ამხანაგების აქტიური დახმარება. უნდა ამუშავდეს მთელი ჩვენი მომქმედი აპარატი. მოსალოდნელია მემამულეთა მხრივ გამოლაშქრება. მათ ალაგმვაში დაგვეჭირდება რეალური ძალა. ეს რეალური ძალა ჩვენში არის და, იმედია პირველ საჭიროებისთანავე ის პირნათლათ შეასრულებს თავის რევოლიუციონურ მოვალეობას მშრომელი სოფლის მუშათა წინაშე.

ანდრო.

## სიცრუე და მისი მოკლე ფეხები

„ბრძოლის“ № 11-ში მოთავსებულია გურიიდან პროვოკაციული შინაარსის წერილი შემდეგი სათაურით: „გურიის მენშევიზმსაც შეუდგა წყალი“.

წერილის ავტორი, ვინმე ლადო შემომქმედელი, ჩვეულებრივი ჭორებით გამასპინძლებია „ბრძოლის“ მკითხველებს და იმავე დროს ისიც ადასტურებს იმ პროვოკაციულ სიტყვებს, რომელიც კრებაზე წამოისროლა ჯარისკაცმა გვარჯალაძემ, და „ბრძოლა“-ც ჩვეულებრივათ ათავსებს გვარჯალაძის შავრაზმულ გამოსვლას: „მოქალაქენო! (გვარჯალაძის სიტყვები) კარგად დაუკვირდით, რათ არის საჭირო წითელი გვარდია, თუ არა წინააღმდეგ ქართულ პოლკებისა და სხვა“.

აქ განმარტება ზედმეტია, დეე ამას თვით მკითხველმა საზოგადოებამ დასდოს მსჯავრი, ჩვენ ვიტყვით მხოლოდ: აქ იგივე შავრაზმული მოქმედებისაკენ მოწოდებაა, რომელსაც სჩადიან გორის ხულიგანები ჯარსა და წითელ გვარდიას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო შხამს და გესლს სთესავენ.

რაც შეეხება შემომქმედში 2 იანვარს მომხდარ მიტინგის ისე დახასიათებას, როგორც ეს „ბრძოლის“ კორესპონდენტს დაუფასებია, დეე ასეთი ჭორებით ისულდგმულონ თვით „ბრძოლის“ მესვეურებმა, მხოლოდ ჩვენ მოვაგონებთ მათ: „ერიდეთ ტყუილებს, ვინაიდან ხალხი ყურს გიგდებს“ და არავის არ ეპატიება რევოლიუციისა და ისტორიის წინაშე დანაშაულობა.

შემოქმედის მიტინგი აშკარათ აღიარებს იმას, რომ ხალხი თავის პოზიციაზე სდგას და ჩრდილოეთის ოცნებით არ იკვებება.

ვილაპარაკოთ მოკლეთ ფაქტები: მოხსენების შემდეგ ხალხი მომენტის სიმძიმეს ითვალისწინებს და თითქმის ერთ-

[illegible]

P. S. იმავე „ბრძოლის“ № 30 [illegible]

მ. ბ.

## კახეთის რკინის გზის კონცესია

[illegible]

## სოც.-დემ. პარტიაში

ქ. სამტრედია. 5 იანვარს რკინის გზის [illegible]

[illegible]

წესრიგის დასაცავათ ვღებულობთ ყოველნაირ ზომებს“.

შემდეგ შემოდის წინადადება იქნეს შეტანილი დღიურ წესრიგში კითხვა პოლიტიკური კომიტეტის რეორგანიზაცია, შემოდის მეორე წინადადება. ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ საბრალმდებლო სკამზე არიან დასმული ზოგიერთი მოწინავე ამხანაგები მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტის წევრები, სანამ რეორგანიზაცია მოხდებოდეს იქნეს გაკეთებული ხსენებულ ამხანაგების საქმის გამო საგანგებო კომისიის მოხსენება. უკანასკნელი წინადადება გავიდა ერთხმად. კომისიის სახელით კრებას მოხსენება გაუკეთა ამხ. გიორგი დუნდუამ, რის შემდე კრებას დიდი აღელვება დაეტყო, იყო ბევრი გამოძახილი კომისიის მიმართ, მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიხსნა კამათი. ილაპარაკეს ორატორებმა და საკითხის გამორკვევის შემდეგ შემოვიდა წინადადებები: 1) მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო მართალია თავის მოქმედებაში და 2) რკინის გზის აღმასრულებელი კომიტეტი დამნაშავეა თავის მოქმედებაში. პირველმა წინადადემ მიიღო 96 ხმა წინააღმდეგი 22, მეორე წინადადება გავიდა ერთხმათ. შემდეგ შემოდის წინადადება: ვინაიდან მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს პრეზიდიუმი მართალია თავის მოქმედებაში, ის კი არ იქნეს გადაყენებული თანამდებობიდან, როგორც ეს ჰქონდა აღნიშნული საგამომძიებლო კომისიას თავის მოხსენებაში, არამედ იქნან გადაყენებული ყოველგვარ თანამდებობიდან რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, ეს წინადადება კრებამ თითქმის ერთხმად. მიიღო მეორე წინადადება კი საბჭოს პრეზიდიუმის გადაყენების შესახებ კრების მიერ უარყოფილი იქნა ე. ი. მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს პრეზიდიუმი დარჩა თავის თანამდებობაზე.

ვ. ტ.

## მუშათა შორის

**თფილისი.** არსად იმდენ ბოროტებას, უწესოებას და თვითნებობას არ ქონია ადგილი, როგორც სადგურებში და განსაკუთრებით კი მატარებლებში ქონდა. მატარებელი დაიკავეს ჯარისკაცებმა თუ ჯარის-კაცების ფორმაში გამოწყობილმა პირებმა და შიგ სავაჭრო და საქონლის გადასაზიდავათ გაიხადეს I და II კლასის ვაგონები, ააძვრეს შიგ ხავერდები და ეს ხალხის ქონება ზოგი გაიფუჭეს და ზოგი წაიღეს. თუ ჯარისკაცი იყავი, თუ ტანზე სალდათის შინელი გქონდა მაშინ, რა თქმა უნდა, ყველაფრის უფლება გქონდა. I და II კლასის ვაგონები უბილეთო ჯარის-კაცებით იყო სავსე და ბილეთიან ხალხიდან ასში ერთი იყო. ამის მიზეზი იყო, რომ რკინის გზაში შემოსავალი ერთი ასათ შემცირდა. ამ სამწუხარო მოვლენას ყურადღება მიაქციეს და შეადგინეს რკინის გზის წესიერების დამცველები—წითელი რაზმელები. ესენი თავის მოვალეობას ენერგიულათ ასრულებენ და ყოველივე უწესოებას, ბოროტ მოქმედებას მატარებელში სასტიკათ სდევნიან, რომელმაც შესაფერი ნაყოფი გამოიღო და შემოსავალმაც, ერთი ასათ იმატა. წინეთ მატარებელში გავლა შეუძლებელი იყო. საქ. სადგურში წითელი რაზმელები წესიერების აღსადგენათ მატარებელში დაახლოვებით ასი კაცია. ესენი ყოველივე მატარებლებში დადიან, რა თქმა უნდა, შეიარადებული და იცავენ წესიერებას და სასტიკათ სდევნიან უბილეთოთ მოსიარულე ვაჟბატონებს, მასთან შინელებში გადაცმული მატყუარა ჯარის-კაცებსაც სასტიკათ სდევნიან, განსაკუთრებით ზემოთ დასახელებულ საქონლის გადაზიდვას.

რაც თვითმპყრობელობა დაეცა, მას შემდეგ თფილისის საქ. სადგ. მუშები ენერგიულათ შეუდგენ პოლიტიკური კითხვების განხილვას და ნორჩი თავისუფლების გამაგრებას, მაგრამ შიმშილი ადამიანს ავიწყებს ყოველივეს და ყოველგვარ კეთილ მისწრაფებას. აქაური მუშები ღებულობენ იმდენს, რამდენსაც ამ ერთი წლის წინათ—145 მ. შესაძლებელია ამ გაჭირვებამ და შიმშილმა გამოიწვიოს შემაფიქრებელი და წინდაუხედავი ამბები, ამიტომ საჭიროა ამ გარემოებას ანგარიში გაუწიოს ამიერ-კავკასიის კომისარიატმა, აღმასრულებელ კომიტეტმა და ყველა ორგანიზაციებმა, მასთან რკინის გზის ადმინისტრაციამაც, თორემ ბოლოს გვიანღა იქნება.

ვუსურვებ თფილისის საქ. სად. წითელ რაზმელებს როგორც ამ დრომდე, ისე შემდეგშიაც შეასრულონ თავისი მოვალეობა; ეს არის ერთად-ერთი გზა ჩვენი ეკონომიური პირობების გაუმჯობესების და გამოწვეული დეფიციტის შემცირების. ყველა მუშა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას წესიერება რკინის გზაზე.

საშა ქრისტინეშვილი.

## მილიციონერთა შორის

15 იანვარს შესდგა მე-7-ე სამილიციო უბანში მოსამსახურე მილიციონერთა კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა კომისარი ამხ. პარკაძე, მდივნათ—ამხ. ხობელავა, ხოლო იმის მოადგილეთ—ამხ. გასვიანი.

განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: ყოველ კვირეულათ კრების გამართვა; სამკითხველოს გახსნა; საგამომძიებლო კომისიის წევრთა არჩევნები; უფროს მილიციონერთა არჩევა; პროფესიონალურ კავშირში წარმომადგენლის ამორჩევა. პირველი კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა თავმჯდომარემ. კრებამ დაადგინა გაიმართოს კრება ყოველ კვირეულათ (ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 3 საათზე) მოხდეს მილიციონერთა კრება.

რაც შეეხება მეორე საკითხს, კრებამ ერთხმათ სცნო აუცილებელ საჭიროებათ სამკითხველოს გახსნა და აირჩია კომისია, რომელშიაც შედიან გასვიანი, ბერაძე და ტოსოვი. კომისიას დაევალა სამკითხველოს მოწყობა. სამკითხველოს გახსნის შესახებ ილაპარაკა აგრეთვე კომისარის თანაშემწემ ამხ. ანდრეევსკიმ. მან, სხვათა შორის, აღნიშნა პოლიტიკურ ხასიათის წიგნაკების შეძენის აუცილებლობა და ამ მიზნით თავის მხრით შესწირა 50 მანეთი, რომელიც მაშინვე გადასცა სამკითხველოს მომწყობ კომისიის წევრს—გასვიანს. (ეს ფულები დროებით გადაეცა თავმჯდომარეს). კრებამ ამხ. ანდრეევსკის გულითადი მადლობა გამოუცხადა.

აღიძრა კითხვა ტრაღიკულათ გარდაცვალებულ ამხ. ნაცვლიშვილის მოადგილის არჩევის შესახებ. ნაცვლიშვილის ხსოვნას თავმჯდომარის წინადადებით კრებამ პატივი სცა ფეხზე ადგომით.

საგამომძიებლო კომისიაში (საამხანაგო სასამართლო) აირჩიეს გასვიანი, კახელაშვილი, მარინიჩი, ბერაძე და გრიქუროვი. პროფესიონალურ კავშირში გასაგზავნათ არჩეულ იქნა გოლუმიანცი. უფროს მილიციონერის ავანესოვის საქმე გადაეცა საგამომძიებლო კომისიას. თავმჯდომარემ კრებას წარუდგინა განსახილველათ თხოვნები ყოფილ მილიციონერების ქიტესოვის და კოლტუხჩიანცის. პირველის თხოვნა კრებამ დასტოვა უყურადღებოთ, ხოლო მეორესი გადასცა მილიციის საორგანიზაციო საგამომძიებლო კომისიას. უფროს მილიციონერათ არჩეულ იქნა ამხანაგი ტოსოვი.

კრების თავმჯდომარე: **გ. პარკაძე.**

მდივანი: **ხობელავა.**

## ჯარისკაცთა წერილები

**თფილისი.** წინათ სამართლიანათ იყო აღნიშნული, რომ ჩვენ ქართ. არტ. ბრიგადაში უწესოთ წარმოებდა ხალხის მიღება, რასაც სამწუხარო შედეგები ჰყვება ხოლმე. ერთი სამწუხარო ამბვის მოწმენი კიდევ გავხდით. ერთი ვინმემ, ყარაულში დგომის დროს თოფი გაიტაცა და წავიდა 16 იანვარს საღამოს 10 ს. როდესაც კამიტეტებმა გადასწერა ხალხის ვინაობა: თუ ვინ სადაური იყო, ამ ვაჟბატონს ყალბათ უჩვენებია: ილიკო დიანოსის ძე ქაიხოსროშვილი თფ. გუბ. თფ. მაზრა, სოფ. საგარეჯოს მცხოვრები ვარო. ეხლა როგორც ირკვევა, ერთი კაცის ჩვენებით, ის ბრძანებულა ლადო შაიშმალაშვილი თფ. გუბ. თელ. მაზრის სოფ. მუკუზანის მცხოვრები. ასეთივე აღმოჩნდა ერთი პიროვნება, რომელიც გაჯავრდა კიდეც, როცა ეკითხებოდნენ, თუ სადაური იყო. ამ ვაჟბატონმა 16 იანვარს მიიღო ახალი „შინელი“, 1 წყვ. საცვალი ახალი ჩექმები (წითელი ფერისაა), თვითონ არის დაბალი ტანისა, შავგრიმანი, თოფის (ვინტოვკაა) ნომერია 47,202, მივმართავთ მაზრის კამისარებს, სოფლის კამიტეტებს და ქალაქის მილიციას თუ სადმე აღმოჩნდეს დაუყოვნებლივ გვაცნობონ. ან და დაჭერილი გამოგზავნონ, რომ აქ შესაფერი სასჯელი მიუსაჯოთ, როგორც ხალხის ქონების გამფლანგველს და თავისუფლების ძირის გამომთხრელს.

ეგრეთვე ვთხოვთ ყველა ქართველ ჯარის კაცებს თვალყური ადევნონ ასეთ მავნე პირებს, რომ გავიწმინდოთ იმ ჭუჭყისაგან, რაც ჩვენ ქართულ ერთეულებს მაგათ მოსცხეს. ვთხოვთ ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

ამხ. მონდობილებით ჯარის-კაცი

ვ. კობახიძე.

## პროვინცია

**ს. მეჯვრისხევი** (გორის მაზრა). ახალწელიწადს ღამით, ბოროტ-გამზრახველებმა ცეცხლი გაუჩინეს ორ-სართულიან სახლს, კოტე და რომან ჩუბინაშვილებისას. გულშემატკივარმა ხალხმა ხელი მიჰყვეს მის გაქრობას და ქვედა ნაწილი სახლისა გადაარჩინეს დაწვისაგან. მიუხედავათ ამისა ზარალი 5000 მანეთამდეა. სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთმა ნაძირალებმა, ნაცვლათ იმისა, რომ დახმარება აღმოეჩინათ ცეცხლის ჩაქრობაში, ისარგებლეს შემთხვევით და რაც ცეცხლს ნივთები გადურჩა, დაიტაცეს.

ამ უკანასკნელ ხანებში ეგრეთ წოდებულ ბალშევიკების (ვინაიდან აქ ნამდვილი ბალშევიკები არა სჩანან, არამედ მათი ნიღაბით პროვოკატორები გამოდიან) ენერგიული ქადაგებით ზოგიერთა უგუნურმა ხალხმა ხელი მიჰყვეს ტყეების გაჩეხვას (ამ რაიონში ტყეებია: სახაზინო, საგლეხო ბანკისა, საეკლესიო და კერძო მემამულეებისა), მაგრამ ადგილობრივი კომისარის ენერგიული ზომების მიღების შემდეგ, ტყის გაჩეხვა შეჩერებულ იქნა.

დეკემბრის 27 ნაგანის სისტემის ერვოლვერით დათა კოჭლაშვილმა მოჰკლა სოსიკო თულაშვილი. ორივე მეჯვრისხეველებია. მიზეზი მკვლელობისა გამოურკვეველია. მკვლელი გადაეცა სათანადო მთავრობას.

მას შემდეგ, რაც მეჯვრისხევში საჯაროთ დასჯილ იქნენ ქურდები, ქურდობა სრულიად მოისპო.

3 იანვარს, ღამის 10 საათზე, დაეცენ რიცხვით ოცდა ათი კაცი სოფ. ქვემო ხურვალეთში ქალის გასატაცებლათ, რამაც ჩამოაგდო ორ სოფელ შორის დიდი უთანხმოება. საქმე მშვიდობიანათ მოგვარდა.

6 იანვარს ს. ტყვიავში მამულის შესახებ ამტყდარ დავის გამო მოჰკლა ს. ბელოთში მცხოვრებმა ილია ციკორიძემ თავისი სიმამრი სოფ. ტყვიავში მცხოვრები აბრამა ხუბაშვილი.

შ. ა. ბერიანიძე.

**სოფ. საჭილაო** (სენაკის მაზრა). 7 იანვარს მოხდა მარნის საზოგადოების საერთო ყრილობა. პირველ რიგში დაისვა საკითხი სასურსათო საქმის მოწესრიგების შესახებ, სენაკის მაზრის გლეხთა საბჭოების, აღმასრულებელ კომიტეტების, სასურსათო კომიტეტების და პარტიულ ორგანიზაციების (ს.-დ.) წარმომადგენელთა შეერთებულ კრებაზე მიღებულ დადგენილებათა შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კ. პიტახიამ. ამხ. ნ. ჩხიკვაძემ ილაპარაკა ამ დადგენილებების წინააღმდეგ და სასურსათო საქმის მოსაწესრიგებლათ სულ სხვა ზომები დაასახელა. მან მოითხოვა საქონლის პირდაპირი გაცვლა-გამოცვლა (მაგ. სიმინდის—ღვინოში, პურის ფართლეულ[illegible]ში და სხ.). სხვათა შორის იგი წინააღმდეგია ზედმეტი სიმინდი გადაეცეს სასურსათო კომიტეტებს. ამხ. ნ. ჩხიკვაძის წინააღმდეგ ილაპარაკა ამხ. მ. ჯანელიძემ, რომელმაც ანარქისტული უწოდა ჩხიკვაძის გამოსვლას. გაიმართა ცხარე კამათი, დაბოლოს ხმის დიდი უმეტესობით უარყოფილ იქნა ხსენებულ კრების მიერ მიღებული ყველა დადგენილებები. ამან გამოიწვია დიდი უთანხმოება. ზოგიერთები მუშებისა და რკინის გზის მოსამსახურეთა ოჯახების დახმარებაზედაც უარს აცხადებდენ. ხალხის ნაწილში თავი იჩინა წმინდაწყლის წვრილმანობამ და ანგარებამ. თავმჯდომარე იძულებული შეიქნა მიეტოვებია თავის ადგილი, ვინაიდან კრების ხელმძღვანელობა შეუძლებელი გახდა.

ამხ. ნ. ჩხიკვაძე წევრია იმ პარტიისა, რომელსაც ეკუთვნის გლეხთა საბჭოის და აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა უმრავლესობა. იგი პასუხისმგებელია პარტიის წინაშე თავის გამოსვლებისთვის. შეერთებულ სხდომაზე სენაკში ეს სასურსათო დადგენილებები გამოიტანეს ჩვენმა ამხანაგებმა, ადგილობრივაც ჩვენმა ამხანაგებმა დაადასტურეს იგი. ამხ. ჩხიკვაძე კი ამ დადგენილებათა წინააღმდეგ მიდის. ერთის მ[illegible]რთულ კითხვების მარტივათ, მოკლეთ გადაჭრამ, მეორეს მხრით ერთნაირ ლაზათიანობამ, ლამაზმა სიტყვებმა მიიმხრო ხალხი და საქმე ჩაფუშა. საჭიროა ჩვენმა ამხანაგებმა თავი აანებონ ასეთ უტაქტო ნაბიჯების გადადგმას.

კორძაია.

**სოფ. ფოცხო** (სენა[illegible]ს მაზრა). 7 იანვარს აქ შესდგა სა[illegible]გადო კრება; კრების საგანს შეადგენდა ადგილობრივი კომისარი ბაგრატ ღვინჯილიას სამსახურიდან განთავისუფლება. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია ჯარისკაცი ალექსი ქადარია, მდივნათ ლავრენტი ბესელია. კომისარმა ღვინჯილიამ მოახსენა საზოგადოებას: 10 თვე სრულდება, რაც გემსახურებით და გთხოვთ გამანთავისუფლოთო; ამ დროს გამოვიდა ერთი ჯარისკაცი და საზოგადოებას შეეკითხა თუ ნდობას უცხადებთ, ჯამაგირი მივცეთ ღვინჯილიას და ისევ ის იყოსო. ღვინჯილიამ უპასუხა, რაც ჯამაგირი არ უნდა მომცეთ, ფიზიკური ძალა მე ნებას არ მაძლევსო, და დაუმატა: აირჩიეთ ახალი კომისარი მართალი კაცი, რომელიც დაიცავს ჩვენს ინტერესებს და ჯამაგირი მივცეთო. კრებამ ღვინჯილიას მადლობა გამოუცხადა და შეუდგა კანდიდატის დასახელებას. ამხ. ალექსი მ[illegible]ანიამ ს.-დ. ორგანიზაციის სახელით დაასახელა განთავისუფლებული ჯარისკაცი მიხეილ გ. სანაია. ამ დროს ერთი ჯგუფი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, მიმარ[illegible] შემდეგ ხერხს: შეუგნებელი ჯარისკაცების საშვალებით ასტეხეს აურ-ზაური: ჩვენ ჯამაგირს არ მივცემთ კომისარსო, გამოეყვნენ ჯარისკაცები კრებას და ამოირჩიეს კომისრათ ჯარისკაცი ლევან ბ. სანაია, კრებამ თანხმობა გამოუცხადა ნებით იყო თუ ძალით. კომისარის არჩევაზე რომ დაეთანხმა საზოგადოება ჯარისკაცებს, მაშინ მათ მოითხოვეს თოფების გადაცემა იმ ჯურის ჯარისკაცებზე, რომელნიც ემალებიან სამსახურს. ამაზე კომისარმა ღვინჯილიამ მოახსენა: ჩვენ თოფებს ვაძლევთ განთავისუფლებულ ჯარისკაცებს და არა დეზერტირებსო; სხვა საზოვადოებაში აძლევენო. უპასუხეს დეზერტირებმა. შეცდომაა და გაასწორონ შეცდომაო, მე არავის არ მივსცემ სანამ უფროსი ამხანაგებისაგან ნებართვას არ მივიღებო, უპასუხა ღვინჯილიამ. ამის მერე შეუდგენ სიმინდის ნიხრის გამომუშავებას. ჯარისკაცებისთვის დააწესეს ფუთზე 4 მანეთი, სხვა მცხოვრებთათვის 7 მანეთი. მადლობა ღმერთს, დღეს ცოცხალი გადავრჩითო, ამბობდენ გლეხები და გულნატკენი დაიშალენ.

მათანური.

## ცნობები

### ჯარის-კაცთა შესახებ.

ჯარისკაცი ექვთიმე ნოტოიას ძე თუთბერიძე მსახურებდა მომქმედ ჯარში მე-11 ცხენოსანთა გუსარსკი იზუმსკი პოლკში, 1 ესკადრონში. 3 წელიწადი გავიდა, რაც მის შესახებ მშობლებმა არაფერი იციან. გთხოვთ, ვინც რაიმე იცის, რა ბედი ეწია მას, გვაცნობოს.

ჯარისკაცი, ძმა მისი, კალისტრატე ნოტოიას ძე თუთბერიძე მსახურებდა მომქმედ ჯარში 503, ჩიშრინსკი პოლკში, მე-3 ბათალიონში, მე-9 როტაში, მე-2 ვზვოდში. ორი წელიწადია არაფერი იციან მშობლებმა. თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ახალ-სენაკი, ვლადიმერ ანდრიას ძე თუთბერიძე.


**ექიმი პ. ი. გვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსნიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

**სამკურნალო კაბინეთი**

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

**კეკელიასი**

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. ([illegible]-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეი[illegible]ის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-[illegible] პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი

**დ. ი. ქორდანია**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული ჰალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

**ექიმი გ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

**გ. დონხინი**

ყოფილი ასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

საქართველოს ეროვნული საბჭოს სასამართლო სექცია აცხადებს **სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდების** პირველი 28 მუხლის ქართულად თარგმანის

**კონკურსს**

პირობები: თარგმანი წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ საბჭოს კანცელარიაში (თფილისი ფრეილინის ქუჩა № 11) ამა წლის 5 თებერვლამდის საუკეთესო მთარგმნელს მიენდობა ყველა სათარგმნელ კანონების ტექსტის თარგმნა, დაენიშნება შესაფერი სასყიდელი. ზემოაღნიშნული 28 მუხლი უნდა ითარგმნოს აწ მომქმედ კანონის ტექსტიდან თავისი ნოველებით. თარგმანი უნდა იყოს, რაც შეიძლება, დაახლოვებული დედანთან. (2—1)

**სახლის კომიტეტები**

სახლის ორგანიზაციების პოპულიარიზაციის მოხდენა მცხოვრებთა ფართე მასაში ძლიერ საჭიროა და თანდათან აუცილებელი. ამ მიზნის მისაღწევათ თფილისის ქალაქის თვითმართველობა მიმართავს თხოვნით ყველა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებს, საბჭოებს, პარტიულ და დემოკრატიულ ორგანიზაციებს, პროფესიონალურ კავშირებს, კოოპერატივებს და სხვა დაწესებულებებს—გაუწიოს მას შესაფერი დახმარება ამ პოპულიარიზაციის მოხდენის საქმეში და სახლის კომიტეტების მოწყობაში.

სახლის კომიტეტებისათვის ყოველივე აუცილებელი მასალები მოიპოვება ყველა საუბნო საბარათო ბიუროებში.

(2—1) თფილისის ქალაქის თვითმართველობა.

**განცხადება**

თფილისის გუბერნიის სასურსათო მმართველობა სთხოვს ქ. თფილისის ყველა ლითონებით და ლითონის ნაწარმოებით მოვაჭრეებს ამ განცხადების გამოქვეყნების ერთი კვირის განმავლობაში წარუდგინონ მმართველობის ტეხნიკურ ბიუროს მათ განკარგულებაში მყოფ ნაწარმოების და მასალების შემადგენლობათა რაოდენობის სწორი ცნობები; ეს საჭიროა ლითონეულობის საერთო რაოდენობის გამოსარკვევათ და გასაყიდ ფასების გამოსამუშავებლად. (2—1)

მომხ[illegible]ოვებელ საზოგ. „მოსავალის“ გამგეობისაგან

**ბინის კომიტეტების საყურადღებოთ.**

ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილების ცხოვრებაში გასატარებლათ, რომ ბინის კომიტეტებს პურს რიგის გარეშე მისცემენ—„მოსავალის“ გამგეობამ გადაწყვიტა მსურველთ პური მოუტანოს სახლში.

ვისაც აქვს სურვილი გთხოვთ მოვემართოთ კანტორა „მო[illegible]ავალი“-სა მიხაილოვის პროსპ. № 128. 9-დან—3 ს. და 6—8 ს. საღამოს.

6—5 გამგეობა.

1918 წ. იანვრის 10 თფილისში გამოვიდა ჟურნალი

**„ახალი კვალი“**

ორგანო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა.

თფილისის ორგანიზაციის კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს დანარჩენ ორგანიზაციებს საჩქაროდ შეგვატყობინონ: 1) რამდენი ცალის გავრცელება შეუძლიანთ; 2) თავისი, ან ორგანიზაციის აგენტის მისამართი; ეს ცნობები საჩქაროთ უნდა იქნეს მოწოდებული, რათა ჟურნალის გამოცემის საქმე არ შეფერხდეს. აგრეთვე გთხოვთ დაგვეხმაროთ მატერიალურათ და მოგვაწოდოთ მასალები.

ჩვენი მისამართი ჯერ-ჯერობით შემდეგია: Тифлисъ. Вера Матеріальная ул. № 3. Михаилу Чачуа.

**Россійская соц'алъ-демократическая рабочая партія.**

Въ двадцатыхъ числахъ январ[illegible] предпологается возобновленіе изданія Тифлисской соц.-дем. газеты

**„БОРЬБА“**

Размѣръ газеты расширенный.

Въ газетѣ примутъ участіе лучшіе соціалъ-демократическіе журналисты, мѣстные и столичные. Для привлеченія матеріальныхъ средствъ рѣшено выпустить ПАИ, по 10 руб. пай.

Пріобрѣтать паи можно въ Тифл. Комитетѣ, ред. г-зы „Эртоба“ и „Пайкаръ“ (Головинскій пр. 12) и въ районныхъ коллективахъ; тамъ-же принимаются пожертвованія.

Товарищи! Покупайте пай и жертвуйте на вашей рабочей газеты! Организовывайте на заводахъ, фабрикахъ группы содѣйствія по распространенію и матеріальному укрѣпленію газеты „БОРЬБА“.


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.